

საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან სასაზღვრო პოლიციამდე A2



ჯაგერმა ხმა დაკარგა A5



რიტმი lounge A8



www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 24 აგვისტო, 2006 წელი. №189 (1341) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## სამართალი

### ჩანაწერი გაყალბებულია - ამტკიცებს ადვოკატი

ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს და იმ პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას მოითხოვს, რომლებმაც ირაკლი ბათიაშვილისა და ემზარ კვიციანის სატელეფონო ჩანაწერი გააყალბეს.

A2

## ამბები

### მკაცრი სანქციები უარყოფითი პასუხის შემთხვევაში

გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი) და გერმანიამ ირანის მიერ სამშაბათს, თეირანში ამ ქვეყნების ელჩებისათვის წერილობითი სახით გადაცემული პასუხის შესწავლა დაიწყეს.

A3

## ამბები

### პენსია იზრდება

სექტემბრიდან ქვეყნის პენსიონერები 33-35 ლარის ნაცვლად, 38-ლარიან პენსიას მიიღებენ. ამის შესახებ, გუშინ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა.

A3


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 24/08 | 25/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 40 |
| ბათუმი | 37 | 36 |
| სოხუმი | 33 | 33 |
| ქუთაისი | 38 | 40 |
| გორი | 32 | 33 |
| ონი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 38 | 38 |
| ახმეტა | 37 | 38 |
| სამტრედია | 38 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7410 |
| ევრო | 2.2326 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2950 |
| რუბლი | 0.0651 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# საპენსიო ანექსია

ნათია მსხილაძე

*ცხინვალში რუსეთის ფედერაციის საპენსიო საკონსულტაციო პუნქტის გახსნამ ქართული მხარის განრისხება გამოიწვია. საგარეო უწყებამ რუსეთის ეს ქმედება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშ დარღვევად შეაფასა.*

ცხინვალში 19 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სამხრეთ ოსეთის საკონსულტაციო პუნქტი გაიხსნა. საპენსიო საკონსულტაციო პუნქტის საზეიმოდ გახსნაში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის თავმჯდომარე გენადი ბატანოვი და ჩრდილოეთ ოსეთის საპენსიო ფონდის თავმჯდომარე ბელა იკოევა მონაწილეობდნენ. როგორც სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები აცხადებდნენ, ამ ფონდის გახსნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთათვის პენსიის გაცემას.

ის, რაც ცხინვალის ხელისუფლებისათვის ზეიმის საბაბად იქცა, ქართული მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. საქართველოს მხარემ მომხდარის გამო პროტესტი გამოთქვა და რუსეთისაგან საპენსიო ფონდის საკონსულტაციო პუნქტის დაუყოვნებლივ დახურვა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი რუსეთის ფედერაციის ჩინოვნიკების გაწვევა მოითხოვა. საგარეო უწყებაში საქართველოში რუსეთის ფედერაციის საქმეთა დროებითი რწმუნებული ვილინკინიც დაიბარეს და საპროტესტო ნოტაც გადასცეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საპროცენტო განაკვეთს ბაზარი დაარეგულირებს

ქართული ბანკების საკრედიტო პორტფელი 2 მილიარდ 100 მილიონ ლარს აჭარბებს

ნინო ნატროშვილი

საქართველოში საბანკო სექტორი კვლავ ზრდის და განვითარების ტენდენციით გამოირჩევა. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, გასულ წელს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 83 პროცენტით გაიზარდა და 1 737 მილიონი ლარი შეადგინა. საგულისხმოა, რომ ბანკების საკრედიტო საქმიანობა კონცენტრირებული იყო კერძო სექტორის დაფინანსების მიმართულებით, რომლის ხვედრითმა წილმა საკრედიტო პორტფელის 97 პროცენტი შეადგინა.

გაგრძელება A4 გვერდზე

### კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლები

| | 2005 | | | | 2006 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | იან-სექ | იან-ოქტ | იან-ნოემ | იან-დეკ | იან | იან-თებ | იან-მარ | იან-აპრ | იან-მაი | იან-ივნ |
| | პერიოდის ბოლოსათვის; ათასი ლარი | | | | | | | | | |
| შემოსავლები | 280119 | 318097 | 353218 | 395970 | 37511 | 72046 | 114304 | 152780 | 198237 | 245792 |
| პროცენტული შემოსავლები | 151695 | 174715 | 196937 | 222884 | 25113 | 47835 | 75337 | 103841 | 135217 | 167756 |
| "ნოსტრო" ანგარიშებიდან | 1532 | 1703 | 1879 | 2174 | 202 | 388 | 678 | 752 | 1108 | 1360 |
| სესხებიდან | 142646 | 164654 | 185920 | 210718 | 23995 | 45766 | 72281 | 99647 | 129418 | 160622 |
| ბანკთაშორისო სესხებიდან | 2011 | 2337 | 2669 | 2843 | 119 | 192 | 300 | 440 | 544 | 791 |
| ფიზიკური პირების სესხებიდან | 52466 | 60329 | 67733 | 76429 | 7857 | 15486 | 24494 | 33553 | 44212 | 54281 |
| იურიდიული პირების სესხებიდან | 88169 | 101989 | 115519 | 131446 | 16019 | 30088 | 47487 | 65653 | 84661 | 105550 |
| ფასიანი ქაღალდებიდან | 5093 | 5517 | 5862 | 6197 | 313 | 534 | 745 | 917 | 1021 | 1058 |
| სხვა შემოსავლები | 2423 | 2841 | 3275 | 3796 | 604 | 1148 | 1633 | 2625 | 3669 | 4716 |
| არაპროცენტული შემოსავლები | 128425 | 143381 | 156281 | 173086 | 12398 | 24211 | 38967 | 48938 | 63020 | 78036 |
| საკომისიო და შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან | 39558 | 44641 | 49743 | 56286 | 3696 | 7416 | 12679 | 17741 | 24536 | 30463 |
| საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი | 17793 | 20776 | 23611 | 26712 | 2267 | 4393 | 7417 | 9922 | 13339 | 17021 |
| ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი | 2873 | 2873 | 2993 | 2993 | 0 | -1 | 13 | 20 | 20 | 36 |
| სხვა არაპროცენტული შემოსავლები | 68200 | 75090 | 79933 | 87095 | 6435 | 12403 | 18859 | 21254 | 25125 | 30516 |

# კიდევ ერთი ორდენი

ვირტუოზი, რომელიც თბილისს მოენატრა




# ბადრი პატარკაციშვილის აჩრდილი

ხელისუფლების მიერ დასახელებული ოპოზიციის საერთო კანდიდატი

*განიხილება თუ არა ბადრი პატარკაციშვილი ოპოზიციის საერთო კანდიდატად მერობის პოსტზე? ხელისუფლების ამ ვარაუდს ოპოზიცია ცალსახა პასუხს ვერ სცემს - ოპოზიციის წარმომადგენელთა აზრები ერთმანეთისგან განსხვავდება.*

ვერიკო თევზაძე

"მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე მედიასთან კომენტარში ადასტურებს, რომ ოპოზიციას მერის პოსტზე ერთობლივ კანდიდატად პატარკაციშვილის დასახელება სურს: **"ვადასტურებ საქართველოს ოპოზიციური პარტიების სურვილს იმის შესახებ, რომ თბილისის მერობის კანდიდატად გვსურს ბადრი პატარკაციშვილი დავასახელოთ."** სრულიად საპირისპირო მოსაზრებები გამოთქვეს "24 საათთან" საუბრისას "კონსერვატორმა" კახა კუკავამ, "რესპუბლიკელმა" თინა ხიდაშელმა და "დემფრონტის" წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა. **"რესპუბლიკური პარტია ბადრი პატარკაციშვილს არ განიხილავს თბილისის მერობის კანდიდატად,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი. ზურაბიშვილიც იგივეს ადასტურებს: **"ჩვენ ნამდვილად არ განვიხილავთ პატარკაციშვილს კანდიდატად." "მერობის ერთიანი კანდიდატი, რა თქმა უნდა, იქნება პოლიტიკოსი და არა მეწარმე,"** - შენიშნავს კუკავა.

"24 საათის" შეკითხვაზე, რატომ განსხვავდება დავით გამყრელიძის და დანარჩენი ოპოზიციური ძალების მოსაზრებები ერთმანეთისაგან, "მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე პასუხობს, რომ ოპოზიცია ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. თუმცა ფაქტია, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ოპოზიციის სოლიდური ნაწილი პატარკაციშვილის მერობის კანდიდატად დასახელებას მხარს არ უჭერს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცირკი და პარკი - მორიგი პრეზენტაცია პრეზიდენტის მონაწილეობით

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბათუმში კვლავ ახალი ობიექტების გასახსნელად ჩავიდა. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ასლან აბაშიძე გაიხსენა და აჭარის აღმშენებლობა "დიქტატორის" დახასიათების ფონზე შეაფასა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

მიხეილ სააკაშვილი ბათუმს აგვისტოში მესამედ სტუმრობს. პრეზიდენტის წინა ვიზიტი ქობულეთის პარკისა და მახინჯაურის რკინიგზის სადგურის გახსნას მიეძღვნა. ასე რომ, პრეზიდენტს ახალი ობიექტების გახსნა ძალიან უყვარს და საამისოდ დროს ყოველთვის ნახულობს. ეს თავადაც აღიარა და ბათუმის ცირკის გახსნის დროს, საზეიმო სიტყვის წარმოთქმისას, განაცხადა კიდეც: **"მე ჩამოვდივარ აქ ძალიან ხშირად და ჩამოვდივარ მხოლოდ იმისათვის, რომ რაღაცა ახალი, ყველაზე ლამაზი და კარგი გავხსნა"**.

ბათუმის ცირკი 1997 წელს დაიწვა. იგი ერთი წლის წინ ბათუმელმა ბიზნესმენმა თენგიზ ბაკურიძემ მილიონ დოლარად, კონკურსის წესით შეისყიდა. შენობის აღდგენა-განახლება ბიზნესმენს 9 მილიონი ლარი დაუჯდა. ბათუმის ცირკში პირველი წარმოდგენა გახსნის დღესვე მოეწყო. ცირკის ადმინისტრატორის ბაია კვარაცხელიას თქმით, ცირკი ძირითადად შაბათ-კვირაობით იმუშავებს და ბილეთები საშუალოდ 5 ლარი ეღირება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რამიზ სოფიევი ქართველებს დევნის

ომბუდსმენი გამგებლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს გამგებლის, რამიზ სოფიევის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, რამიზ სოფიევმა სოფელში დროებით მცხოვრებ ქართველებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ბავშვებს კი დაბადების მოწმობები ჩამოართვა და სოფლის დატოვება მოსთხოვა. სოფიევს პირადობის მოწმობის ჩამორთმევის მიზეზი მოქალაქეებისთვის არ განუმარტავს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები სოფელ სარაჩლოში ჩავიდნენ, გაესაუბრნენ და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ერთ-ერთ დაზარალებულს კლარა აკობიძესა და ადგილობრივ აზერბაიჯანელ მოსახლეობას.

ადგილობრივ მცხოვრებთა განმარტებით, კლარა აკობიძე ოჯახთან ერთად უკვე 6 წელია სეზონურად ჩადის სოფელ სარაჩლოში და მიწას ამუშავებს. ახსნა-განმარტებების თანახმად, ამ დროის მანძილზე მათ შორის რაიმე სახის დაძაბულობასა და უსიამოვნებას ადგილი არ ჰქონია - ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და დროებით სამუშაოდ ჩასულ ქართველებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. კლარა აკობაძის განცხადებით, ქართველებს მხოლოდ გამგებელთან აქვთ კონფლიქტური ურთიერთობა. მისი თქმით, გამგებელი თვითნებურად მოქმედებს და კანონებს არ ემორჩილება.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებისათვის სოფელ სარაჩლოს გამგებელს რამიზ სოფიევსაც მიმართეს, რომელმაც განაცხადა, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები სოფელში დროებით მცხოვრებ ქართველებს კრიმინოგენური ვითარების გამო ჩამოართვა. გამგებლის თქმით, ის ვალდებულია იცოდეს მისი მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დროებით შემოსულ პირთა ვინაობა, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ხდება დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების დაკავება. პირად საუბარში რამიზ სოფიევმა დაადასტურა, რომ ქართველებს გამოართვა პასპორტები და მათი ქსეროასლები დაიტოვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რამიზ სოფიევი ქართველებს დევნის

პირველი გვერდიდან

22 აგვისტოს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა სარაჩლოდან წამოსვლის შემდეგ, სოფლის მოსახლეობა ტელეფონით დაუკავშირდა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს და განუცხადა, რომ მათი წასვლის შემდეგ, გამგებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა აზერბაიჯანელ ჰუსეინ კანჯალიევს, რომელთანაც ქართველები ცხოვრობენ და მუშაობენ. ინფორმაცია სატელეფონო საუბრისას დაადასტურა ჰუსეინ კანჯალიევმაც.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად, "ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება."

რაც შეეხება მოქალაქეთა რეგისტრაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ". ამ კანონის თანახმად, საცხოვრებელი ადგილის 6 თვეზე მეტი ვადით შეცვლისას, პირი ვალდებულია, ეს ფაქტი 10 დღეში აცნობოს, ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, რომელიც 10 დღეში გაატარებს მას რეგისტრაციაში.

ამდენად, მოქალაქეთა რეგისტრაციას ახორციელებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და არა სოფლის გამგებელი. სარაჩლოში დროებით მცხოვრები ქართველები სოფელში იმყოფებოდნენ მხოლოდ აპრილის თვიდან, ე.ი. 5 თვის განმავლობაში და არ იყვნენ ვალდებულნი გაევლოთ რეგისტრაცია, ხოლო გამგებელი არ იყო უფლებამოსილი მათთვის ჩამოერთმია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სოფელ სარაჩლოს გამგებელმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას. ამიტომაც, სოზარ სუბარი მიმართავს გენერალურ პროკურატურას და რამიზ სოფიევის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

*24 საათი*

## მოკლედ

### ბანკის დაყაჩაღების საქმე გახსნილია

"სახალხო ბანკის"' დუშეთის რაიონული ფილიალიდან თანხის გატაცების საქმე გახსნილია. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ დააკავეს დანაშაულში ეჭვმიტანილები. "სახალხო ბანკის" დუშეთის ფილიალის დაყაჩაღების ფაქტზე თავდაპირველად დაკავებული დაცვის წევრი კი გათავისუფლებულია. ლევან მჭედლიშვილს, რომელსაც თავდამსხმელებმა სასტიკად სცემეს, ეჭვმიტანილის სტატუსი მოეხსნა და გამოძიებას მის მიმართ არანაირი პრეტენზია აღარ გააჩნია.

შეგახსენებთ, რომ ბანკზე ყაჩაღობის ფაქტი 21 აგვისტოს, გამთენიისას მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბანკიდან დაახლოებით 80 ათასი ლარი გაიტაცეს. "სახალხო ბანკის" ფილიალი ერთადერთი ბანკია, რომელიც დუშეთში ფუნქციონირებს და ადგილობრივ პენსიონერებს პენსიებს ურიგებს.

ლევან მჭედლიშვილი აცხადებს, რომ გამტაცებლებმა თავი პოლიციელებად გაასაღეს, ამიტომ კარი მათ თავად გაუღო. მჭედლიშვილის თქმითვე, თავდამსხმელები ექვსნი იყვნენ, ნიღბები ეკეთათ და ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. **"სახალხო ბანკის" დუშეთის ფილიალის გაძარცვაში ეჭვმიტანილია 11 პირი, მათგან 9 დაკავებულია, ორი კი იძებნება. დაკავებულთაგან ექვსმა უკვე დანაშაული აღიარა. ეჭვმიტანილების ჩხრეკის დროს ამოღებულია იმ თანხისა და ძვირფასეულობის ნაწილი, რომელიც "სახალხო ბანკის" ფილიალიდან გაიტაცეს. ზარალმა სულ ასი ათას ლარს მიაღწია, თუმცა აღნიშნული თანხიდან მხოლოდ ნაწილია ამოღებული,"** - ასეთი გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ირაკლი ფირცხალავას ოფიციალური ინფორმაცია.

ბანკის ფილიალის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილები არიან: 44 წლის ბიძინა ნათელაშვილი, 31 წლის მერაბ დანელია, 29 წლის თამაზ კოკაია, 31 წლის თემურ ქვილითაია, 33 წლის ნუგზარ გურგულიანი, 33 წლის ედუარდ გერლიანი, 19 წლის დაჩი სონიშვილი, 31 წლის გიორგი ლომთაძე და 33 წლის ლევან წიქარაძე. ეჭვმიტანილები შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და მცხეთა-მთიანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. **24 საათი**

### ომბუდსმენმა ნორა კვიციანი მოინახულა

სახალხო დამცველის აპარატის წევრები, შეიარაღებულ ამბოხებაში მონაწილეობისა და სხვისი ქონების მითვისების ბრალდებით დაკავებული ნორა კვიციანის საქმის გამოძიების მონიტორინგს ახორციელებენ.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ბრალდებული ქალთა საპყრობილეში მოინახულა. როგორც ომბუდსმენი აცხადებს, ნორა კვიციანი მისთვის წარდგენილ არც ერთ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. სოზარ სუბარის განმარტებითვე, მასთან საუბრისას ჩხალთის ყოფილ გამგებელს ნორა კვიციანს საპყრობილეში არსებულ პირობებთან დაკავშირებით, არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. "სახალხო დამცველის აპარატი კვიციანის საქმის გამოძიებას თვალყურს ბოლომდე მიადევნებს", - აცხადებს სოზარ სუბარი. **24 საათი**

### კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

თსსუ-ს ყიფშიძის სახელობის კლინიკაში პატიმარი გარდაიცვალა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, თსსუ-ს ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში 29 წლის ოთარ მაისურაძე გარდაიცვალა.

ოთარ მაისურაძე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 4 ივლისს, რუსთავის №-6 საპყრობილიდან გადაიყვანეს, ხოლო 22 აგვისტოს, ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო, ავადმყოფი პატიმარი ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში მოათავსეს. სამკურნალო დაწესებულებაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, ავადმყოფს ნეიროცირკულატორული დისტონია, კარდიალური ტიპის დეპრესიული მდგომარეობა, უცნობი ეტიოლოგიის მედიკამენტოზური კომა, ასფიქსია, მენდელსონის სინდრომი და სუნთქვის მწვავე უკმარისობის დიაგნოზი ჰქონდა დასმული. ოთარ მაისურაძე შსს-ს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2006 წლის 21 თებერვალს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დააკავეს. **24 საათი**

### ოქროს სამკაულების კონტრაბანდა

საბაჟო გამშვები პუნქტის "გარდაბანი რკინიგზის" მებაჟეებმა ოქროს სამკაულების კონტრაბანდა აღკვეთეს. როგორც საბაჟო დეპარტამენტში აცხადებენ, ბაქო-თბილისის მატარებლით 10 ათას ლარზე მეტი ღირებულების ოქროს სამკაულის ფარულად შემოტანას ელენე ტოპრაკაშვილი ცდილობდა. ტოპრაკაშვილი მებაჟეებმა და ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად დააკავეს. საქმე გამოძიებისთვის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**

### კუსტარული საწარმო დალუქეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქალაქ ზუგდიდში, ლომაიების ოჯახში არსებული ალკოჰოლური სასმელების კუსტარული საწარმო დალუქეს. როგორც გაირკვა, ფინანსურმა პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მიაკვლია ფალსიფიცირებული ღვინის დამამზადებელ საწარმოს. აქ ლომაიების ოჯახში ისხმებოდა ღვინო, შუშხუნა ღვინოები, შამპანურები. ფალსიფიცირებული პროდუქცია ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზარში იყიდებოდა, რამაც ადამიანთა ალკოჰოლური პროდუქციით მოწამვლის ფაქტები უფრო ხშირი გახადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს მთავრობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს

საქართველოს მთავრობა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს. ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათშორისო-საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უახლოეს დღეებში დაამტკიცებს.

საბჭოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი უხელმძღვანელებს. მასთან ერთად საბჭოს მუშაობაში ჩაერთვებიან განათლების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები.

საბჭოს შექმნის მთავრი მიზანია ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილება, მის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის სფეროში სახელმწიფო ორგანოებისთვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

საბჭო შეიმუშავებს სპეციალურ წინადადებებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით და დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს.

საბჭოსთან თანამშრომლობისთვის საქართველოს მთავრობამ უკვე მიმართა აშშ-ის საელჩოს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ასევე ეუთო-ს, გაერო-ს, სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრეფიკინგის საწინააღმდეგო პროგრამას. **ინტერპრესნიუსი**

# საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან სასაზღვრო პოლიციამდე

*მართალია, ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი საზღვრის დაცვაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს წესი საქართველოს ყოფილ ხელისუფლებაზე არ ვრცელდებოდა. დღეს სასაზღვრო პოლიციაში სარეფორმო ძვრები შეიმჩნევა, თუმცა განვითარებული ქვეყნების სტანდარტებამდე მისაღწევად გასაკეთებელი კიდევ ბევრია. რა რეფორმები განხორციელდა საქართველოს სასაზღვრო სისტემაში და კიდევ რა არის გასაკეთებელი - ამ საკითხზე "24 საათი" ესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ბადრი ბიწაძეს.*

თამარ კაციტაძე



ბადრი ბიწაძე.

**- ბატონო ბადრი, რატომ გახდა საჭირო სასაზღვრო დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციად გადაკეთება?**

- საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თითქმის ყველა სტრუქტურამ განიცადა რეფორმა, მაგრამ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი დიდი ხნის განმავლობაში კვლავ საბჭოთა სისტემის გადმონაშთის სახით არსებობდა. ანუ, კვლავ სამხედრო სტრუქტურად მოიაზრებოდა და ნაწილობრივ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში რჩებოდა. არადა, წლების განმავლობაში მისი პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნა როგორც ევროკავშირის, ისე ევროატლანტიკური ორგანიზაციის მოთხოვნა იყო. ამიტომ, ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შემუშავდა რეფორმირების სტრატეგია. ანუ დღეისათვის არსებობს განთვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც აბსოლუტურად ყველა მიმართულებას მოიცავს. სასაზღვრო უწყება საბოლოოდ გამოვიდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან და გახდა პოლიციური სტრუქტურა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია. ჩვენი ინიციატივით მომზადდა კანონი "სასაზღვრო პოლიციიის შესახებ", რომელიც სექტემბრიდან უკვე პარლამენტში განიხილება. გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. დაახლოებით ოთხმოცამდე საკანონმდებლო აქტში უკვე შევიდა შესაბამისი ცვლილება, რაც გარკვეულწილად გულისხმობს სასაზღვრო უწყებისთვის გარკვეული უფლებების და ასევე მოვალეობების გაზრდას. ამასთან გვაქვს ახალი დებულება, რის საფუძველზეც სასაზღვრო პოლიცია დღეს მუშაობს.

**- კონკრეტულად რა არსებითი ცვლილებები განხორციელდა სისტემაში?**

- რეფორმის პირველი შედეგი ის არის, რომ გამარტივდა მმართველობის სისტემა, რომელიც მანამდე ხუთსაფეხურიანი იყო. დღეს სამსაფეხურიანი სტრუქტურაა - ცენტრალური აპარატი, რეგიონული სამმართველო და სასაზღვრო სექტორი. იმ პერიოდში, როცა მე ამ უწყების ხელმძღვანელად მოვედი, პირადი შემადგენლობა დაახლოებით 8 500 საშტატო ერთეულით განისაზღვრებოდა. დღეისათვის ეს ოდენობა 4 700-მდე შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ აპარატი, ძირითადად ხელმძღვანელი პირების ხარჯზე, ხელოვნურად იყო გაბერილი. ახლა, რეორგანიზაციის გამო, შემცირება ძირითადად ამ მიმართულებით მოხდა. მომავალი წლიდან სასაზღვრო პოლიცია მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადავა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯარისკაცები საზღვარზე აღარ იქნებიან. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონულ სამმართველოებში ოფიცრები, სწორედ იმ ჯარისკაცების დაცვით იყვნენ დაკავებულნი, რომლებსაც საზღვრის დაცვის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ. საზღვრის დაცვა კი აბსოლუტურად სხვა სპეციფიკაა - ქვეყანას პროფესიონალი მესაზღვრე უნდა იცავდეს.

**- თქვენი აზრით, რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს დღევანდელი მესაზღვრე?**

- პირველ რიგში, იგი უნდა იყოს თავისი ქვეყნის პატრიოტი. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფიზიკური და გონებრივი მონაცემები. როგორც მოგეხსენებათ, ერთი თვის განმავლობაში ჩვენს უწყებაში გამოცხადებული იყო კადრების მიღება, რისთვისაც შექმნილია სპეციალური კომისია, რომელმაც სწორედ ასეთ ხალხზე გააკეთა აქცენტი. შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ცხელი ზაფხული გვქონდა. აბსოლუტურად ყველა რეგიონულ სამმართველოში ჩავედი და მესაზღვრეობის მსურველებს პირადად გავესაუბრე. სამწუხაროდ, დღემდე საქართველოში არ არსებობდა მესაზღვრის სპეციალობა. აქამდე კადრების შერჩევისას პრიორიტეტი უშიშროების აკადემიის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ, რომლებიც საკმაოდ შორს იდგნენ ამ სპეციალობისაგან, მაგრამ სხვა გამოსავალი, ფაქტობრივად, არ იყო. სექტემბერში პოლიციის აკადემიაში უკვე მესაზღვრეთა ფაკულტეტი იხსნება. პირველი ეტაპი სამართალდამცველი სტრუქტურის ყველა მუშაკისათვის საერთო იქნება, მეორე ეტაპი პოლიციის აკადემიაში არსებული სასაზღვრო პოლიციის ფაკულტეტზე მესაზღვრეთა თეორიულ მომზადებას გულისხმობს. მესამე ფაზა კი უკვე მესაზღვრის სპეციალიზაციას ითვალისწინებს. აღსანიშნავია ერთი გარემოება: ამჟამინდელი შერჩევისას პრიორიტეტს ადგილობრივ მოსახლეებს ვანიჭებდით. მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ მათი ნაწილი კონტრაბანდაში შეიძლება ყოფილიყო ჩაბმული, მაგრამ ამის კონტროლის მექანიზმიც განვსაზღვრეთ. ნებისმიერი მესაზღვრის მუშაობის გაკონტროლება სწორედ რეორგანიზაციის შედეგად რეფორმირებული, საგამოძიებო-სადაზვერვო სამსახურით იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, ფაქტია, რომ ადგილობრივ კადრზე უკეთესად არავინ იცის ის ბილიკები და მისადგომები, რომელიც მთიან რეგიონებშია. თუ მესაზღვრე მატერიალურ-ტექნიკურად იქნება უზრუნველყოფილი და შესაბამისი კონტროლიც ექნება, დამერწმუნეთ, დანაშაულის ჩადენის სურვილი არავის ექნება. სხვათა შორის, ადგილობრივი კადრების დასაქმებას დადებითი შედეგი უკვე მოჰყვა. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მკვიდრნი თითქმის მთლიანად დაცლილ მთის სოფლებში მესაზღვრეებად დაინიშნენ, მათ ბარში გადასული საკუთარი ოჯახებიც ჩამოიყვანეს და ძველ კერას დაუბრუნდნენ.

**- როგორ ფიქრობთ, დღეისათვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, შეძლებთ თუ არა განახევრებული შტატით საზღვრის დაცვას?**

- საქართველოს საზღვრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს მართლაც რთულია. თუნდაც იმის გამო, რომ დღეისათვის საქართველოს საზღვარი დელიმიტირებულ-დემარკირებული მხოლოდ თურქეთთან აქვს. წლების განმავლობაში არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა საზღვრის არც ერთ მონაკვეთზე. მესაზღვრის მთელი აღჭურვილობა ავტომატი და დურბინდი იყო. სამწუხაროდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ვერც დღეს დავიკვეხნით. მესაზღვრეს ნორმალური მუშაობისთვის თანამედროვე აღჭურვილობა, კომუნიკაციის საშუალება და ტრანსპორტი სჭირდება. საზღვრის დამცველს დანიშნულების ადგილზე მისასვლელად 15 კილომეტრის ფეხით გავლა არ უნდა უხდებოდეს, რაც დღეს ძალიან ხშირად ხდება. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პრობლემა მოგვარდება, დამერწმუნეთ, პროფესიონალი მესაზღვრეები, ამ რაოდენობითაც, წარმატებით შეძლებენ საქართველოს საზღვრის გაკონტროლებას.

**- სისტემატურად გიწევთ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტის გაზრდისთვის ბრძოლა.**

- შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებში ბიუჯეტი საერთოდ არ გვქონდა. წარმოიდგინეთ, როცა კაპიტალურ ხარჯებზე სულ 100 000 ლარია გათვალისწინებული, რისი გაკეთება უნდა შეძლო. დღეისათვის ბიუჯეტი შედარებით გაიზარდა. წელს პირველად მოგვეცა საშუალება ჩვენი სახსრებით აგვეშენებინა ორი რეგიონული სამმართველოს შენობა - ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში, რომლებიც ნოემბერში გაიხსნება. ეს კაპიტალურ ხარჯებზე გამოყოფილი სამი მილიონი ლარით მოხერხდა. აქამდე ყველაფერი ძირითადად, ამერიკელების და სხვა პარტნიორების დახმარებით გაკეთდა. წელს ბიუჯეტიდან 34 მილიონი ლარი გამოგვეყო და წინა წლებთან შედარებით ეს მართლაც დიდი თანხა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქედან 28 მილიონი ლარი სახელფასო ფონდზე მოდის. მესაზღვრის ხელფასი, რომელიც 80 ლარი იყო, საგრძნობლად გაიზარდა და დღეისათვის საშუალოდ 450 ლარია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მივუახლოვდით შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომელთა ხელფასებს. არადა, ხომ ფაქტია, რომ მესაზღვრეს მეხანძრეზე მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს. ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტი საზღვრის დაცვაა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მესაზღვრე უზრუნველყოფილი იყოს, როგორც მატერიალურ-ტექნიკურად, ასევე, მათ უნდა შეუქმნათ ცხოვრების ნორმალური პირობებიც. ეს ყველაფერი კი ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

# ჩანაწერი გაყალბებულია - ამტკიცებს ადვოკატი

*ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს და იმ პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას მოითხოვს, რომლებმაც ირაკლი ბათიაშვილისა და ემზარ კვიციანის სატელეფონო ჩანაწერი გააყალბეს.*

სოსო ბარათაშვილის განცხადებით, ომბუდსმენის მიერ გენპროკურატურისთვის გაგზავნილი რეკომენდაციების შემდეგ, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტიდან კვიციანი-ბათიაშვილის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები მიიღო.

სოსო ბარათაშვილის თქმით, ბრალდებულისთვის გადაცემული საუბრების გაშიფვრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ემზარ კვიციანისა და ირაკლი ბათიაშვილის სატელეფონო საუბარი, რომელიც შსს-მ მედიაში გაავრცელა, დამონტაჟებული და შეგნებულად გაყალბებული მტკიცებულება იყო.

**"გარკვეულმა სტრუქტურებმა შეგნებულად გააყალბეს ირაკლი ბათიაშვილისა და ემზარ კვიციანის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რათა მათ ირაკლი ბათიაშვილის დაჭერის საბაბი მისცემოდათ,"** - სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატმა. მან ჟურნალისტებს ირაკლი ბათიაშვილისა და ემზარ კვიციანის 23 ივლისის სატელეფონო საუბრის ის ჩანაწერი გააცნო, რომელიც 21 აგვისტოს სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად მოიპოვა.

**"აუდიოჩანაწერის მიხედვით, სინამდვილეში კვიციანი ძალიან გარკვევით უარყოფს აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გარი კუპალბას მხრიდან დახმარების გაწევის შესაძლებლობას. შესაბამისად, არ არსებობს ბათიაშვილის მიერ შესაბამისი სამსახურებისთვის ფაქტის დამალვის მტკიცებულება,"** - განაცხადა ბარათაშვილმა.

გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერში ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ მას კუპალბამ დაურეკა და "გარკვეული რაოდენობით გვერდში დადგომა" შესთავაზა. კვიციანი ამბობს: "მე ვუთხარი, მე თვითონ იმას ვიზავ-თქო და რო გაგვწყვიტავენ, მერე რაც გინდა, ის გააკეთე-თქვა, მაგრამ მაგას ვერ მოესწრებიან". ბათიაშვილი მას პასუხობს: "შენ რო იცოდე, მიუხედავად ყველაფრისა, ახლა ტელევიზიით რაც აჩვენეს შენზე, ყველაფერი მაინც შენს სასარგებლოდ არის, იმიტომ, რომ ჩანს, ძმაო, რო შენ ხარ მებრძოლი კაცი ამ კუთხისთვის".

ადვოკატის თქმით, სატელეფონო საუბრიდან სწორედ ეს ფრაზებია ამოჭრილი, რის გამოც, ბათიაშვილის დაჭერა გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე მოხდა.

სოსო ბარათაშვილი გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს იმ პირთა დადგენის თხოვნით მიმართავს, ვინც აუდიოჩანაწერი შეგნებულად გააყალბა.

სოსო ბარათაშვილის განცხადებით, ვინაიდან აღნიშნული აუდიოჩანაწერი პირველად ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ეთერით გადაიცა, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისაგან ელის განმარტებას, ვისგან და რა სახით მიიღეს აღნიშნული მტკიცებულება.

ადვოკატის თქმით, ისინი გენპროკურორისგან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და გაყალბების ფაქტის გამოძიებას მოითხოვენ.

*24 საათი*






**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ბადრი პატარკაციშვილის აჩრდილი

პირველი გვერდიდან

თავისი პარტიის ლიდერის დარად, პატარკაციშვილი ფიქრია ჩიხრაძისთვისაც მერობის სასურველი და რეალური კანდიდატია. **"პირადად მე ვთვლი და ასეთია მემარჯვენეების აზრი: თუკი პატარკაციშვილი იყრის კენჭს ოპოზიციის მხრიდან, ის იქნება რეალური გამარჯვების შანსის მქონე კანდიდატურა."**

ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ამის თაობაზე ჯერჯერობით "მემარჯვენეებს" პატარკაციშვილთან მოლაპარაკებები არ ჰქონიათ და არც თავად იმყოფებოდა ლონდონში. ჩიხრაძე გაკვირვებულია, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ბოკერია რატომ ავრცელებს გადაუმოწმებელ ინფორმაციას.

გიგა ბოკერიას გუშინწინდელ გამოსვლას ოპოზიციის დანარჩენი წარმომადგენლებიც აკრიტიკებენ. ოპოზიციის აზრით, გიგა ბოკერიას და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას გულს უხეთქავს ბადრი პატარკაციშვილის ფინანსები და მის მფლობელობაში არსებული ტელეკომპანია "იმედი".

ოპოზიციური ძალის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ ისინი, სხვა ცნობილ პირებთან ერთად, ბადრი პატარკაციშვილთანაც მართავენ კონსულტაციებს, თუმცა, მათი აზრით, ეს არ არის მთავარი. **"მთავარი ის არის, რომ გიგა ბოკერიამ თქვენს გაზეთს ოქტომბრის თვეში მისცა ინტერვიუ, სადაც ამბობს: ყველა, ვისაც აქვს განსხვავებული აზრი, უნდა გამოვაცხადოთ კეთროვანებადო. იგი მართლაც ყველაფერს აკეთებს ამისთვის,"** - აღნიშნავს თინა ხიდაშელი და იქვე დასძენს, რომ საქართველოს პრეზიდენტი თუნდაც ორი თვის წინ (ვიდრე პატარკაციშვილი ინგლისში გაემგზავრებოდა) ზარ-ზეიმით ხვდებოდა მას, ხოლო მინისტრები და მერი უგულავა პატარკაციშვილის რეზიდენციის კართან გრძელ რიგში იდგნენ.

**"ასეთი განცხადებები არ კეთდება არსად მსოფლიოში, თუკი პოლიტიკური ძალები არ ხვდებიან ყაჩაღებს, ბანდიტებს და კაცის მკვლელებს. ბადრი პატარკაციშვილი მათ რიცხვს არ განეკუთვნება. იგი საქართველოს მოქალაქეა, მას ხვდება საქართველოს პრეზიდენტი, დედაქალაქის მერი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები,"** - განაცხადა "24 საათან" საუბრისას "დემფრონტის" წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილის აზრით, გიგა ბოკერიას საუბარში შეინიშნებოდა ქვეტექსტი - ამ ცუდ კაცთან რატომ დადიხართ! **"თუკი ბოკერიას და სახელისუფლო ელიტის დანარჩენ წევრებს ჰგონიათ, რომ საზოგადოებაში უფრო კარგი სახელით სარგებლობენ, ვიდრე პატარკაციშვილი, ძალინ ცდებიან,"** - შენიშნავს დავით ზურაბიშვილი.

თინა ხიდაშელი გიგა ბოკერიას განცხადების იმ ნაწილს, რომელიც ოპოზიციის ბერეზოვსკისთან კონტაქტებს ეხება, განსაკუთრებულად მკაცრად აფასებს. **"ბოკერია ამ ბოლო დროს ხშირად ამბობს, პირად შეურაცხყოფას მაყენებენო, მაგრამ ეს არ არის შეურაცხყოფა, ეს არის სამედიცინო დიაგნოზი. ბოკერიასაც და ხელისუფლებასაც ცუდად აქვთ საქმე, პარანოიით არიან შეპყრობილები,"** - ამგვარ სამედიცინო დასკვნას აკეთებს იურისტი თინა ხიდაშელი და ბოკერიას და მის თანაგუნდელებს მკურნალობას ურჩევს.

# საპენსიო ანექსია

პირველი გვერდიდან

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველომ არაერთხელ გააფრთხილა რუსეთის მხარე, რომ დაუშვებელია ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლებთან ნებისმიერი სახის კონტაქტები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შესაბამისი შეთანხმების გარეშე. ასევე, ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა. **" რუსეთის მხარე, საქართველოს მხარის აღნიშნული მოთხოვნების იგნორირებით, თავს უფლებას აძლევს, განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლითაც კიდევ უფრო უხეშად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ხსნის რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებების ფილიალებს, რითაც დაუფარავად ხელყოფს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტს,"** - აცხადებენ საგარეო უწყებაში.

ქართული მხარის შეფასებით, რუსეთი ამგვარი ქმედებებით აგრძელებს საქართველოს განუყოფელი ნაწილის ფაქტიური ანექსიისაკენ მიმართულ პოლიტიკას და სულ უფრო ყალიბდება კონფლიქტის მონაწილე მხარედ.

# ცირკი და პარკი - მორიგი პრეზენტაცია პრეზიდენტის მონაწილეობით

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილმა კი, ცირკის გახსნის ცერემონიაზე საზოგადოებას, რომლის დიდ ნაწილს ბავშვები შეადგენდნენ, ასლან აბაშიძე გაახსენა: **"იყო ამ ქალაქში ერთი ბოროტი კაცი, სახელად ასლანი, რომელსაც, ეტყობა, არ უყვარდა, რომ ბავშვები, ხალხი ერთად შეკრებილიყო. ის კაცი რომ მოვიდა, ბულვარში ჩააქრო შადრევნები. გაჩერდა ეს ცირკი და იმისათვის, რომ აღარასდროს აღარ გახსნილიყო, ათი წლის წინ გადაწვა. დაანგრია დელფინარიუმი და გაყიდა დელფინები. დაანგრია სტადიონის ტრიბუნები. მერე, ერთ მშვენიერ დღეს ხალხს მობეზრდა ეს ყველაფერი, შეიკრიბა და ასლანი გააგზავნა იქ, სადაც უნდა იყოს, თეთრ დათვებთან".**

ამის შემდეგ პრეზიდენტი თავისი მოღვაწეობის პერიპეტიებსაც შეეხო: **"ჩვენ ისევ ავაშენეთ დანგრეული, ბოლომდე განადგურებული ცირკი. მომავალ წელს ჩვენ ავაშენებთ ახალ დელფინარიუმს, ხელახლა გვეყოლება დელფინები და ხელახლა იქნება ახალი სტადიონი. მშენებლობა დაიწყება წლის ბოლოს და დამთავრდება მომავალი წლის ბოლოს. ქობულეთში გაიხსნა ევროპაში საუკეთესო პარკი და მომავალ წელს ეს პარკი იქნება სამჯერ უფრო დიდი. თქვენ უნდა გახსოვდეთ ეს ბოროტი კაცი, რადგან მან ბათუმის მშვენიერი პარკი დაკეტა იმისათვის, რომ მისი ექვსი წლის შვილიშვილს იქ კარტინგით მარტო ესეირნა. დღეს ის პარკი და საერთოდ ეს ქვეყანა ბავშვების არის."**


ეფხაკ დიასამიძის ფოტო

პრეზიდენტთან შესახვედრად ბავშვების მობილიზება ხელისუფლებამ წინასწარვე დაგეგმა. ხულოს რაიონიდან ორი დიდი ავტობუსით უმცროსკლასელები შეკრიბეს და წარწერით "პრეზიდენტის საჩუქარი ბავშვებს" ექსკურსია მოუწყვეს. ბავშვები ჯერ ბორჯომის პარკში ჩაიყვანეს, სადაც მათ "კოკა-კოლითა" და ჰამბურგერებით გაუმასპინძლდნენ, შემდეგ კი ცირკის გახსნაზე დასასწრებად ბათუმში დააბრუნეს. **"გუშინ მთელი დღე გზაში ვიყავით. ღამით ბათუმში ჩამოვედით და ავტობუსები ცირკთან გაჩერდა. დღეს დილით გამოგვიცხადეს, რომ აქედან საღამოს 6 საათამდე ფეხი არ მოგვეცვალა. ამ სიცხეში ეს პატარა ბავშვები დაიტანჯნენ. ბულვარში გასეირნების უფლებაც კი არ მოგვცეს,"** - განაცხადა ხულოს გიმნაზიის მასწავლებელმა მთვარისა კირთაძემ. მიუხედავად ამისა, ხულოელი ბავშვები და მათი ბათუმელი თანატოლები პრეზიდენტის ხილვითა და საცირკო სანახაობებით მეტად კმაყოფილები დარჩნენ.

მოგვიანებით პრეზიდენტმა ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი გახსნა. ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა პარკის რეკონსტრუქციისათვის ქველმოქმედების სახით 4 მილიონი დოლარი გაიღო. ეს თანხა შემდეგ გაიზარდა კიდეც, მაგრამ, როგორც ბათუმის მერიაში აცხადებენ, ბიზნესმენის თხოვნით კონკრეტული თანხა არ სახელდება. პრეზიდენტი ასევე ბულვარში ატრაქციონ "ეშმაკის ბორბალის" გახსნასაც დაესწრო.

# მკაცრი სანქციები უარყოფითი პასუხის შემთხვევაში

*გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი) და გერმანიამ ირანის მიერ სამშაბათს, თეირანში ამ ქვეყნების ელჩებისათვის წერილობითი სახით გადაცემული პასუხის შესწავლა დაიწყეს. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განცხადებით, ოფიციალური ვაშინგტონი მოუთმენლად ელოდება ირანის პასუხს და ისლამური რესპუბლიკის მიერ დასავლეთთან კომპრომისზე წასვლას არ გამორიცხავს.*

თეა მაისურაძე

მიუხედავად იმისა, რომ ირანის პასუხი ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ შესწავლილი და განხილული გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ, ჩინეთი და რუსეთი კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს თავის უცვლელ პოზიციას ირანის ბირთვულ დოსიესთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების თაობაზე. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ოფიციალური პეკინი "ყურადღებით გაეცნობა" ირანის პასუხს: **"ჩინეთს ყოველთვის სჯეროდა იმის, რომ ირანის ბირთვული დოსიეს მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა არის პრობლემის მოგვარების უალტერნატივო გამოსავალი და ამავდროულად, ეს ამ საკითხში ჩართული ყველა მხარის ინტერესებში შედის"**.

ჩინეთის პოზიციას რუსეთიც იზიარებს. ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, რუსეთი კვლავ გააგრძელებს ირანის ბირთვული პრობლემის მოგვარების მცდელობას პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით. **"სამშაბათს ჩვენ მივიღეთ ირანის პასუხი დასავლეთის ექვსი სახელმწიფოს წინადადებაზე. რუსეთი, ისევე როგორც აღნიშნულ საკითხში ჩართული სახელმწიფოები, გულდასმით შეისწავლის ამ დოკუმენტს. საჭიროა კარგად იქნეს განსაზღვრული, რამდენად შესაძლებელია მოლაპარაკებების გაგრძელება ოფიციალურ თეირანთან გაერო-ს უშიშროების საბჭოსათვის მიცემული პასუხის საფუძველზე"**.

ისლამური რესპუბლიკა გაერო-ს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრ სახელმწიფოს და გერმანიას სერიოზულ მოლაპარაკებებს სთავაზობს. რუსეთი და ჩინეთი ირანის პოზიციას იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ მოლაპარაკებები ამ საკითხის ირგვლივ არსებული დაძაბულობის განმუხტვის ერთადერთი საშუალებაა.

ოფიციალური თეირანის წარმომადგენელი ალი ლარიჯანი აღნიშნულთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მისი ქვეყანა მზად არის სერიოზული დიალოგისათვის, თუმცა დასავლეთისათვის გაცემული პასუხის დეტალებზე არ საუბრობს.

თუ ირანი ურანის გამდიდრების პროგრამას 31 აგვისტომდე არ შეწყვეტს, გაერო-ს უშიშროების საბჭო ოფიციალური თეირანის წინააღმდეგ მკაცრ სანქციებს მიიღებს. როგორც ცნობილია, ირანი ბირთვული იარაღის წარმოებას უარყოფს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას აქვს გამდიდრებული ურანის სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენების უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ ირანის მხრიდან მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია არ იქნება დაფიქსირებული, აშშ და მისი მოკავშირეები ოფიციალური თეირანის ასეთ ნაბიჯს უარყოფით პასუხად ჩათვლიან და შესაბამისად, სანქციის ფორმების განსაზღვრას შეუდგებიან.




## რიჩარდ ლუგარი დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს ეწვია

ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი რიჩარდ ლუგარი გუშინ ჯანდაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილთან ერთად დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს ეწვია. მინისტრმა და სენატორმა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგურისა და ინფექციური დაავადებათა გამომწვევი პათოგენების მუზეუმ-საცავი დაათვალიერეს. სენატორ ლუგარის საქართველოში სტუმრობა 5 ქვეყნისაგან შემდგარი ვიზიტის ნაწილია. საქართველოში ყოფნისას სენატორი ეწვევა ერთობლივ საფრთხის შემცირების პროგრამის ფარგლებში აშენებულ და აღჭურვილ ობიექტებს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან არსებული ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგური საქართველოს საშიში აგენტების აღმოჩენისა და რეაგირების სისტემის ერთ-ერთი სამოდელო სადგურია. აღნიშნულ სისტემას ინფექციურ დაავადებათა გამომწვევი პათოგენების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენის დიაგნოსტიკის, მასზე რეაგირებისა და ეპიდემიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების სისტემაა. ეს სისტემა მთელ საქართველოში განლაგებული დიაგნოსტიკური ლობორატორიების ქსელისაგან შედგება. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან არსებული ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგური ამ სისტემის მეორე იერარქიულ დონეს წარმოადგენს.

პირველადი დიაგნოზის დასმის შემდეგ ეპიდემიების გავრცელების აღკვეთის მიზნით, ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგური მონაცემებსა და პათოგენების შტამებს გადააგზავნის ცენტრალურ რეფერატ-ლაბორატორიაში, სადაც შესაძლებელია პათოგენების ანალიზის გაკეთება. "ნან-ლუგარის" დაფინანსების შედეგად დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ეპიდემიოლოგიური ლაბორატორიები. აღნიშნული ლაბორატორიები აკმაყოფილებს ბიოუშიშროების, ბიო-უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტებს. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ანალოგიურია. 30-მილიონიან აშშ დოლარზე მეტი უკვე ინვესტირებულია საქართველოში იმისათვის, რომ გაიზარდოს დაავადებათა ეპიდემიის სწრაფი დიაგნოსტიკა და მათი გამომწვევი პათოგენების უსაფრთხოდ შენახვის შესაძლებლობები. 60 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიცია მოხმარდება ცენტრალური რეფერენს ლაბორატორიების მშენებლობას.უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორია დაავადებათა კვლევისათვის ალექსეევკაში იქნება განთავსებული, საიმედოდ დაცულ შენობაში.

*ინტერპრესნიუსი*

## პენსია იზრდება

სექტემბრიდან ქვეყნის პენსიონერები 33-35 ლარის ნაცვლად, 38-ლარიან პენსიას მიიღებენ. ამის შესახებ, გუშინ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა. მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით ის პენსიონერები, რომლებიც იღებდნენ 40 ლარს, ანუ ჩერნობილის კატასტროფაში მონაწილეები, 43 ლარს მიიღებენ. ხოლო იმ კატეგორიის მოქალაქეები, რომლებიც იღებდნენ 35 ლარს - ხუთი ლარით გაზრდილ პენსიას, ანუ 40 ლარს მიიღებენ. როგორც ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა მამუკა ქაცარავამ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, თბილისში მცხოვრები პენსიონერები სტაჟის მიხედვით, 5 წლიდან ზემოთ შესაბამის თანხას მიიღებენ, ანუ თანხა განისაზღვრება 2-15 ლარამდე.

ის პენსიონერები, რომელთა სტაჟი არის 5 წლამდეა, 2 ლარის დანამატს მიიღებენ, ხოლო 5-დან 15 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერები მიიღებენ 4 ლარის დანამატს, 15-25 წლამდე სტაჟის მქონენი - 7 ლარს, ხოლო 25 წელს ზემოთ - 10 ლარით გაზრდილ პენსიას. ეს ინიციატივა თბილისის მერს გიგი უგულავას ეკუთვნის, ამიტომ ჯერჯერობით პროგრამა მხოლოდ თბილისში განხორციელდება.

როგორც მამუკა ქაცარავამ განაცხადა, პროგრამის განხორციელება იანვრამდეა დაგეგმილი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფინანსთა სამინისტროსთან და შესაძლებელია, ამ ნიხრით, სტაჟის მიხედვით პენსიები იანვრიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა პენსიონერს გაეზარდოს და პროგრამა უკვე სახელმწფიო ბიუჯეტში ჩაჯდება. როგორც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა, სექტემბრიდან გაუმჯობესდება ასევე პენსიონერთა სოციალური მდგომარეობა და მომსახურებაც.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### ცესკო ამომრჩეველთა სიის გადამოწმებას იწყებს

ცსკო-ს თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა გუშინ, სპეციალურად შექმნილ ჯგუფთან და მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაში პირადად მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 25 ათას 83 ადამიანისაგან დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფები ოცი დღის განმავლობაში, კარდაკარ შემოვლის პრინციპით, ამომრჩევლის პირადობის მოწმობაში დაფიქსირებულ მონაცემებს ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებს შეადარებენ.

ქვეყნის მასშტაბით სულ 2784 სპეციალური ჯგუფი დაკომპლექტდა. თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში 9 წევრია, რომლებიც წარმოდგენილნი არიან შესაბამისი საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ.

საოლქო საარჩევნო კომისიის ორთვიანი მუშაობის შედეგად, საკრებულოს არჩევნების ამომრჩეველთა ერთიან სიაში დაფიქსირებული მონაცემების გადამოწმება-შესწორება თითქმის დასრულდა. **" პრობლემები იყო და ცესკოს კომპიუტერულ ცენტრში, რაც ადგილზე გასწორდა. ნაწილი პრობლემებისა ალბათ დარჩება, მაგრამ არჩევნებისათვის ზუსტი სიები აუცილებლად გვექნება"**, - განაცხადა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, გია ლასხიშვილმა. **24 საათი**

### სერგეი შამბა რიჩარდ ლუგარის განცხადებებს პოპულისტურს უწოდებს

ამერიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის განცხადებას იმის შესახებ, რომ აშშ მხარს უჭერს რუს მშვიდობისმყოფელთა სამშვიდობო კონტინგენტის ნეიტრალური ძალების ჩანაცვლების ინიციატივას, აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა პოპულისტურს უწოდებს და ურჩევს აფხაზეთს მუქარის ტონით არ ელაპარაკოს.

"ეს ცალკე აღებული ერთი სენატორის აზრია. ჩვენ, ჩვენის მხრივ რუსეთის სათათბიროს წევრის უამრავი მოსაზრების მოყვანა შეგვიძლია, რომელთა აზრი ამერიკელი სენატორის აზრს ნამდვილად არ ემთხვევა. ამავე დროს არსებობს დოკუმენტები და ხელმოწერილი შეთანხმებები, რომლთა არსებობაზეც ლუგარს, როგორც ჩანს, წარმოდგენაც არა აქვს. ამიტომაც მისი განცხადებები მხოლოდ პოპულისტურ ხასიათს ატარებს", - ამბობს სერგეი შამბა.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუკი კოდორის ხეობაში მოვლენები ისე არ წარიმართება, როგორც აფხაზურ ხელისუფლებას სურს და როგორც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, აფხაზური მხარე ამ პრობლემას თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს.

"კოდორის ხეობა - აფხაზეთის ტერიტორიაა. თუ ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევა ქართული მხიდან მომავალშიც გაგრძელდება, აფხაზური მხარე უფლებას იტოვებს ეს პრობლემა ისე გადაწყვიტოს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. საქართველოს მთავრობა ასეთ აგრესიულ პოლიტიკას იმიტომ აწარმოებს, რომ მას მხარს ამერიკის მთავრობა უჭერს", - ამბობს სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო რუსული სამხედრო ტექნიკით დატვირთულმა ეშელონმა დატოვა

წალკის ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა თერთმეტმა ვაგონმა დატოვა. ეშელონში ერთი ტანკი И-72, ხუთი ИЩ-70, ორი ИЬ-4 და ასევე რეაქტიული ჭურვები იყო მოთავსებული: 122 მმ. სამოცდაათი ტონა, ხოლო 152 მმ. ოთხმოცდათორმეტი ტონა.

სამხედრო ტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში ახალქალაქის რუსული ბაზიდან გამოჰქონდათ. ეშელონი წალკიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით რუსეთში გაემგზავრა. მორიგი, რიგით უკვე მე-16 ეშელონი წალკიდან იმავე რეისის გავლით 29 აგვისტოს გავა. **მედიანიუსი**

მოკლედ

### ევროგაერთიანების დახმარება

ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე წლის 5 ივლისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმისა და 14 ივლისს ხელმოწერილი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 23 აგვისტოს ქვეყანამ 11 000 000 ევროს ოდენობის, ევროკავშირის განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამის პირველი საგრანტო ტრანში მიიღო. თანხა კონვერტირების შემდეგ ფინანსთა სამინისტროს ერთიან სახაზინო ანგარიშზე ჩაირიცხება. ევროკავშირის ამ დახმარების მიზანი საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა და ვალის მდგრადობის გაუმჯობესებაა.

საქართველოსთვის ფინანსური დახმარების შესახებ ევროგაერთიანების საბჭომ გადაწყვეტილება 2006 წლის 24 იანვარს მიიღო, რომელიც ქვეყნისთვის 2006-2007 წლებში საერთო ჯამში 33.5 მლნ ევრომდე გრანტის გამოყოფას ითვალისწინებს. საგრანტო ხელშეკრულებით საქართველო წლის ბოლომდე 11 მლნ ევროს ოდენობის გრანტს კიდევ მიიღებს. 2007 წელს გათვალისწინებული მესამე ტრანშით კი ქვეყანას 11,5 მლნ ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას ჰპირდებიან.

ევროკავშირის ეს გრანტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ორმხრივი დონორების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების დამატებით რესურსს წარმოადგენს და იგი ეკონომიკური სტაბილურობისა და რეფორმების მხარდასაჭერადაა მიმართული. **24 საათი**

### ფინანსთა სამინისტრომ მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები შეიმუშავა

მომავალი წლის ბიუჯეტი 3,861 მლრდ ლარის ოდენობის ხარჯს დააფინანსებს, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლები 3,429 მლრდ ლარი იქნება. 432 მლნ ლარის ოდენობის საბიუჯეტო დეფიციტი კი ადგილობრივი და საგარეო ფინანსური რესურსებით შეივსება - აღნიშნულს ითვალისწინებს 2007 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მთავრობას ოთხშაბათის სხდომაზე წარუდგინა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით მშპ-ს 7,5-პროცენტიანი ზრდა და ინფლაციის 6-პროცენტიანი მაჩვენებელია დაგეგმილი. ფულად მაჩვენებელში მშპ 2007 წელს 16 მლრდ ლარი იქნება.

ალექსიშვილის განმარტებით, ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები შეიცვლება და მათი კორექტირება მიმდინარე წელს მიღწეული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით შეიცვლება.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, წინასწარი პროგნოზით მშპ-ს ზრდა მიმდინარე წელს 10 პროცენტი იქნება, ხოლო ინფლაცია - 9,5 პროცენტი. **ჯიბისი**

### ლარი მყარდება

ეროვნული ვალუტა - ლარი ბოლო 10 დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად გამყარდა. 14 აგვისტოდან დღემდე ოფიციალური გაცვლითი კურსი 1,7580-დან 1,7410 ნიშნულამდე დაიწია. შიდა სავალუტო ბაზრის ბანკნოტურ სეგმენტზე აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის მიმოქცევის ამპლიტუდა 1.7300-1.7600 დიაპაზონში მერყეობდა," - აცნობეს GBC-ს საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

24 აგვისტოს მდგომარეობით თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 24 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ევროთი ვაჭრობის მოცულობამ 1080 000 ევრო შეადგინა. სებ-ის ცნობით, ყველაზე დიდი მოცულობის 8 133 500 $ გარიგება დაიდო 22 აგვისტოს გამართულ სესიაზე. ეროვნულმა ბანკმა 7 775 000 $ შეისყიდა. **ჯიბისი**

### კოდორის ხეობაში "სახალხო ბანკის" ფილიალი გაიხსნება

უახლოეს მომავალში კოდორის ხეობის მოსახლეობა პენსიების აღებას და საბანკო პროდუქტებით სარგებლობას სოფელ აჟარაში, "სახალხო ბანკის" ფილიალში შეძლებს. ამ მიზნით, აჟარაში გუშინ, "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი ჩავიდნენ.

როგორც "სახალხო ბანკში" განაცხადეს, ისინი ადგილზე შეარჩევენ შენობას, ბანკის სადაც ფილიალი განთავსდება და პროექტის დეტალებს შეათანხმებენ. "სახალხო ბანკის" ფილიალი ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდება, რომლებსაც ბანკი მომავალ კვირას თბილისში ტრენინგს ჩაუტარებს. ხვალიდან კი დაიწყება შერჩეული შენობის კეთილმოწყობა და ფილიალის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა.

აჟარის ფილიალში მოსახლეობას პენსიის აღება და 15 სახეობის საბანკო პროდუქტით სარგებლობა შეეძლება. დღემდე კოდორის ხეობაში მსგავსი მომსახურების მიღება შეუძლებელი იყო. **ინტერპრესნიუსი**

### სემეკი კვოტას გაზრდის

სექტემბერში ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკი) ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს გადახედავს და, შესაძლოა, მასში გარკვეული კორექტივები შეიტანოს. ამის შესახებ ენერგოომბუდსმენმა დავით მიქაუტაძემ განაცხადა.

მიქაუტაძის ინფორმაციით, სემეკი ტარიფის საფასურის შეცვლას არ აპირებს. ის, უბრალოდ, სამომხმარებლო ტარიფში თითოეულ საფეხურს გადახედავს და დაწესებულ კვოტას შესაბამისად გაზრდის.

სავარაუდოდ, კვოტები გაიზრდება, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ აქამდე მოსახლეობა 100 კილოვატ/საათამდე ელექტროენერგიის მოხმარებაზე 12,98 თეთრს იხდიდა, ტარიფის გადახედვის შემდეგ ის აღნიშნულ თანხას 130 კილოვატ/საათზე გადაიხდის," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ენერგოომბუდსმენმა დავით მიქაუტაძემ.

ომბუდსმენს დღევანდელი ტარიფი მიუღებლად მიაჩნია და აცხადებს, რომ სემეკმა ის ნაჩქარევად და დაუსაბუთებლად დაამტკიცა.

შეგახსენებთ, რომ თბილისში მოხმარებული 100 კილოვატ/საათის ენერგიის მოხმარებისას კილოვატ/საათში 13,48 თეთრს იხდიან. 101-დან 300 კილოვატ/საათის ჩათვლით - 16 თეთრს, ხოლო 301-დან ზემოთ - 17,69 თეთრს.

რაც შეეხება რეგიონების მოსახლეობას, ის, ვინც 100 კილოვატ/საათამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, 12,98 თეთრს იხდის; 101-დან 300 კილოვატ/ საათის ჩათვლით - 16,52 თეთრს, ხოლო 300 კილოვატზე ზევით - 17,50 თეთრს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიმართ არსებული დავალიანების ბედი 1 სექტემბრამდე უნდა გადაწყდეს

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სესბ) მიმართ არსებული დავალიანების ბედი 1 სექტემბრამდე უნდა გადაწყდეს. სესბ-ის მიმართ ყველაზე დიდი დავალიანება გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დაუგროვდა და ის 355.4 მილიონს შეადგენს, აფხეზეთის ვალი კი 226.5 მილიონი ლარია, აჭარის ენერგოკომპანიას კი 56.5 მილიონი მართებს. კახეთის ენერგოსადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ვალი კი 16.9 ლარია, "თელასს" სესბ-ის მიმართ 7.5 მილიონი ლარი დავალიანება აქვს, ხოლო სხვა მევალეების ვალი კი 2.4 მილიონს შეადგენს.

თუ კი სესბ-ის დავალიანების საკითხები 1 სექტემბრამდე არ გადაწყდება, მაშინ ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი სესბ-ის ბედი გაურკვეველი იქნება.

ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის გამო უწყებამ 1 ივლისიდან თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და 1 სექტემბრიდან კი სააქციო საზოგადოების სახით უნდა ჩამოყალიბდეს, რომლის აქციებიც საბითუმო ბაზრის ამჟამინდელ წევრებზე გადანაწილდება.

ახალი სესბ-ი განსხვავებულ ფუნქციებს შეიძენს და, საერთოდ, რეორგანიზაციის შემდეგ ენერგოსისტემაში ურთიერთობები პირდაპირი ხელშეკრულებებით დარეგულირდება, რც გულისხმობს იმას, რომ ენერგოკომპანიები საკუთარი მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიის შესყიდვაზე თავად იზრუნებენ და საამისოდ გაცხოველებული ვაჭრობები გაიმართება.

ახალ სესბ-ს კი სარეზერვო სიმძლავრეებიც ექნება და თუ რომელიმე ენერგოკომპანიის მოთხოვნები გაუთვალისწინებლად გაიზრდება, მაშინ ის სიმძლავრეებს სესბ-ის კომერციული ოპერატორისაგან შეივსებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საპროცენტო განაკვეთს ბაზარი დაარეგულირებს

პირველი გვერდიდან

ბანკების მიერ გაცემული სესხების 40 პროცენტი მოდიოდა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროზე, 28 პროცენტი - ფიზიკურ პირებზე, 11 პროცენტი - მრეწველობაზე, ხოლო დანარჩენ დარგებზე გაცემული სესხებიდან თითოეული არ აღემატებოდა საკრედიტო პორტფელის 7 პროცენტს.

ეს ტენდენცია 2006 წელსაც გრძელდება. ექვსი თვის მონაცემებით, 27 პროცენტით არის გაზრდილი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების მოცულობა, რაც დაახლოებით 700 მილიონი ლარია. საინტერესოა, რომ საკრედიტო პორტფელი 23 პროენტით გაიზარდა და 2 მილიარდ 100 მილიონ ლარს აჭარბებს. ამ მონაცემების მიუხედავად, ექსპერტების შეფასებით, საპროცეტო განაკვეთები საკმაოდ მაღალია. 2005 წლის ბოლოს საბანკო სისტემის მიერ ეროვნული ვალუტით სესხების გაცემა საშუალოდ 19,5 პროცენტიანი განაკვეთით ხდებოდა, რაც 1,6 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2004 წლის შესაბამის პერიოდში გაცემულ სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. თუმცა უფრო დაბალი განაკვეთით სარგებლობდნენ იურიდიული პირები - წლიური 16,7 პროცენტის ფარგლებში. ახლა საპროცენტო განაკვეთი სესხებზე წლიური 12-18 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. საბანკო სფეროს ექსპერტების შეფასებით, კლების მიუხედავად, საპროცენტო განაკვეთი მაინც მაღალია. თუმცა ეროვნულ ბანკში განმარტავენ, რომ საპროცენტო განაკვეთი მოცემულ შუალედში უნდა იყოს ცვალებადი რაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში კრიზისია ან არასტაბილური ვითარება. საპროცენტო განაკვეთები რეგულირდება საბაზრო პრინციპით. მას არეგულირებს საბაზრო მექანიზმი - კრედიტებზე მოთხოვნა-მიწოდება და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. საპროცენტო განაკვეთებზე, შესაძლოა, საბანკო ბაზარზე მოსალოდნელმა რყევებმაც იმოქმედოს, რადგან უკვე ძალაში შევიდა ახალი ნორმები მინიმალური საწესდებო კაპიტალის შესახებ. ექსპერტების ვარაუდით, ამ ნორმების ამოქმედებას ბანკების რაოდენობის შემცირება მოჰყვება.

ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ ბანკების მხრიდან იყო მოთხოვნა - ყოველი წლის განმავლობაში გარკვეული პროგრესიით და გრაფიკით გაეზარდათ საწესდებო კაპიტალი. ახლა ვადა ოდნავ შემჭიდროვდა ვადა. ამ ეტაპზე საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა არის 7,8 მილიონი ლარი, წლის ბოლოსთვის უნდა იყოს 9,2 ლარი და მომავალი წლის პირველი ივლისისთვის ბანკების საწესდებო კაპიტალი 12 მილიონ ლარს უნდა გაუტოლდეს. იმ შემთხვევაში თუ მცირე კომერციული ბანკებს შეექმნებათ საწესდებო კაპიტალის გაზრდის პრობლემა, ნორმატიული აქტის თანახმად მათ აქვთ შერწყმის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთების შესაძლებლობა. ეროვნული ბანკის ექსპერტების შეფასებით, ეს ცვლილება გარდა დადებითი ტენდენცისა საბანკო ბაზარზე რაიმე გავლენას არ მოახდენს. ბაზარზე დარჩნებიან ჯანსაღი ადეკვატური კაპირტალის მქონე ბანკები.

ამ ეტაპზე საქართველოს საბანკო სისტემა 19 ბანკითაა წარმოდგანილი , რომელთაგან მოქმედია 18 ბანკი. ამის გარდა, 17 ბანკი ლიკვიდაციის პროცესშია, მიმდინარეობს სასამართლო პროცესები, რომლის შემდეგაც მოხდება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების გასტუმრება.

საგულისხმოა კიდევ ერთი დეტალი, 2006 წელს რეზიდენტი კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური ინვესტიციების წილმა, მთლიანი საბანკო კაპიტალის 53 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ქვეყანაში 10 ბანკია სადაც უცხოური ინვესტიცია კაპიტალში მთლიანი აქტივების 80 პროცენტს აჭარბებს.

**კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლები**

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 221011 | 249887 | 280060 | 320901 | 28531 | 57429 | 92354 | 126021 | 160773 | 198994 |
| პროცენტული ხარჯები | 42821 | 48848 | 55274 | 63845 | 9370 | 17783 | 28121 | 38219 | 50631 | 62891 |
| დეპოზიტებზე | 28393 | 32202 | 35988 | 40119 | 4494 | 8526 | 13492 | 18292 | 24294 | 30150 |
| მოთხოვნამდე დეპოზიტებზე | 577 | 695 | 826 | 979 | 130 | 289 | 449 | 819 | 1230 | 1766 |
| ვადიან დეპოზიტებზე | 27816 | 31507 | 35162 | 39139 | 4364 | 8237 | 13043 | 17473 | 23064 | 28383 |
| ბანკთაშორის სესხებზე | 595 | 899 | 1236 | 3078 | 1907 | 3584 | 5351 | 7195 | 9206 | 11339 |
| სხვა ნასესხებ სახსრებზე | 13828 | 15738 | 17993 | 20521 | 2894 | 5530 | 9057 | 12437 | 16761 | 20957 |
| სხვა ხარჯები | 4 | 9 | 57 | 128 | 75 | 143 | 221 | 295 | 371 | 445 |
| არაპროცენტული ხარჯები | 160182 | 177703 | 194829 | 220074 | 17901 | 34327 | 53088 | 68755 | 89895 | 110769 |
| აპარატის შენახვის ხარჯები | 52973 | 59649 | 66207 | 75375 | 7028 | 14062 | 21723 | 29664 | 37811 | 45870 |
| [illegible] ხარჯები | 12279 | 13825 | 15310 | 16559 | 1581 | 3178 | 4843 | 6523 | 7989 | 9685 |
| სხვა არაპროცენტული ხარჯები | 94931 | 104229 | 113311 | 128139 | 9292 | 17087 | 26522 | 32568 | 44096 | 55214 |
| ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 18008 | 23337 | 29958 | 36982 | 1260 | 5318 | 11145 | 19048 | 20247 | 25334 |
| სესხებზე | 16744 | 21989 | 28434 | 34365 | 1547 | 5793 | 11790 | 18107 | 19359 | 22843 |
| ფასიან ქაღალდებზე | - | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| სხვა აქტივებზე | 1264 | 1348 | 1524 | 2617 | -287 | -475 | -646 | 941 | 888 | 2491 |
| მოგება გადასახადების გადახდამდე და გაუთვალისწინებელ ხარჯებამდე (საბალანსო მოგება) | 59108 | 68210 | 73158 | 75069 | 8979 | 14617 | 21950 | 26759 | 37463 | 46798 |
| გაუთვალისწინებელი შემოსავალი / ხარჯები (-) | -20 | -20 | -23 | -32 | -3 | -17 | -33 | -60 | -76 | -74 |
| გადახდილი გადასახადები | 10177 | 11375 | 12452 | 13281 | 1338 | 2015 | 3309 | 4135 | 5265 | 8618 |
| წმინდა მოგება / ზარალი (-) | 48912 | 56814 | 60683 | 61756 | 7638 | 12585 | 18608 | 22564 | 32122 | 38106 |

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA 24
მომენტალური სტუდენტური სესხი
ყველა კურსის სტუდენტისათვის
3 000 ლარამდე
მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე

სესხის მისაღებად:
არ მოითხოვება არანაირი უზრუნველყოფა ან მესამე პირის თავდებობა
საკმარისია თქვენი ოჯახის შემოსავალი შეადგენდეს 150 ლარს თვეში
21 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე
მომენტალური სტუდენტური სესხის მისაღებად მიმართეთ "საქართველოს ბანკის" სტუდენტების მომსახურების ცენტრს
"ექსპო ჯორჯია", წერეთლის გამზ. 118, პავილიონი 11
ყოველდღე 10-დან 18 საათამდე
თქვენი საუკეთესო ინვესტიცია 444 444 www.sb24.ge

მოკლედ

### გერმანიის ელჩი აჭარაში ტურიზმის განვითარების პროექტს მხარ უჭერს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე გერმანიის ელჩს საქართველოში პატრიცია ჰილდეგარდ ფლორს შეხვდა. შეხვედრისას საუბარი ტურიზმის განვითარებასა და აჭარაში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს შეეხო.

გერმანიის ელჩი ვარშალომიძესთან საუბრით კმაყოფილი დარჩა. ელჩის თქმით, "აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ძალიან პროდუქტიული და კონსტრუქციული საუბარი გვქონდა სხვადასხვა პროექტებზე, როგორიცაა წყალმომარაგების გერმანული პროექტის განხორციელება და სხვა. ასევე შევეხეთ ურთიერთობების გაღრმავებას გერმანიასა და აჭარის რეგიონს შორის. ვისაუბრეთ აჭარაში ეკოტურიზმის განვითარებაზეც".

მისივე თქმით, ვარშალომიძის მხრიდან გამოითქვა სურვილი, აჭარას რაც შეიძლება მეტი გერმანელი ტურისტი ეწვიოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მარნეულის სასურსათო კომბინატი კონკურსის წესით გაიყიდება

დღეს, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს "მარნეულის სასურსათო კომბინატი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 52,7 პროცენტს კონკურსის წესით გასაყიდად გაიტანს.

საპრივატიზაციო ობიექტის საქმიანობის სფერო ფართო ასორტიმენტის სასურსათო პროდუქტების, საკონსერვო ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება-რეალიზაციაა.

შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 10 508,5 კვ.მეტრია, ხოლო მიწის ფართის სიდიდე - 85400 კვ. მეტრი.

კომბინატის საწყისი გასაყიდი ფასი 250 ათასი აშშ დოლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სამობილიზაციო რეზერვი 200 ათას დოლარად შეფასდა

დღეს, ყოფილი სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონში, რომელიც 200 ათას დოლარად შეფასდა, კონკურსის წესით გაიყიდება.

სოფელ აღდგომელაანთკარში მდებარე ობიექტის ქონებაში 3169,8 კვ.მ. შენობა-ნაგებობები და 13 290 კვ. მეტრი მიწის ფართი შედის.

კონკურსის მთავარი პირობაა მყიდველის მიერ ობიექტის შესაძენად დასახელებული თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, ასევე მასზე დარიცხული დავალიანების, 1 182 ლარის დაფარვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პრივატიზაცია გრძელდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სს "მარნეულის სასურსათო კომბინატის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციებს (52,686 პროცენტი) ტენდერზე გაიტანს, აგრეთვე, აჭარაში მდებარე ხუთ ობიექტს.

სს "მარნეულის სასურსათო კომბინატი" მარნეულში მდებარეობს. სახელმწიფო წილის საწყისი გასაყიდი ფასია 250 ათასი დოლარი.

აჭარაში გასაყიდი პირველი ობიექტი შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სალაპარაკო პუნქტის შენობა მდებარეობს ქობულეთში. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 43 ათასი დოლარი; მეორე ობიექტის სს "ავტოტურისტი" ხელვაჩაურის რაიონის სოფელი წინსვლაშია განთავსებული. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 52 363 დოლარი; სს "პოლიგრაფისტი" მდებარეობს ბათუმში, ერას ქ. N91 და მისი საწყისი გასაყიდი ფასია 52 800 დოლარი; კიდევ ერთი ობიექტი, ყოფილი "აჭარხილბოსტანვაჭრობის" N12 პავილიონის, რომელიც მდებარეობს დაბა ხელვაჩაურში, საწყისი გასაყიდი ფასია 4 000 დოლარი; ბათუმში, თამარ მეფის ქ. N43-ში მდებარე ჭადრაკის სახლის შენობის საწყისი გასაყიდი ფასი კი 800 ათასი დოლარია.

ყველა ობიექტზე ტენდერი აუქციონის წესით ჩატარდება. "მარნეულის სასურსათო კომბინატზე" ტენდერი ხვალ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება, ხოლო აჭარაში მდებარე ობიექტებზე ტენდერი 25 აგვისტოს ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ჩატარდება. **მედიანიუსი**

# უელბეკის სკანდალური რომანი

ესპანელმა რეჟისორმა კალიქსტო ბიეტომ დადგა სპექტაკლი, ფრანგი მწერლის მიშელ უელბეკის სკანდალური რომანის "პლატფორმას" მიხედვით. სპექტაკლის პრემიერები გაიმართება 2006 წლის 30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე. სპექტაკლში მონაწილეობენ ბარსელონას თეატრის Companyia Teatre Romea მსახიობები. "პლატფორმაში" ბიეტომ დაინახა "სიყვარულის ისტორია წარმოუდგენელ კონტექსტში". დრამატურგიული ტექსტის შექმნის დროს იგი მთლიანად რომანის ვერსიას არ ეყრდნობა. სპექტკალში მთელი მოქმედება მთავარი გმირის - მიშელ რენოს აზრებში ხდება. "იგი იგონებს და საუბრობს აუდიტორიასთან. ხოლო, ყველა ის ადამიანი, ვიზეც ის საუბრობს, გამოდის სცენაზე და ხდება პერსონაჟი. ბოლოს კი ვიგებთ, რომ ყველა, ვიზეც მიშელი საუბრობს - მკვდარია", - განმარტა რეჟისორმა.




უელბეკის რომანის მთავარი გმირები კი ტაილანდში მოგზაურობენ, ისინი საუბრობენ თემაზე - სექს-ტურიზმი ევროპელებისთვის. ფინალში კი მთავარი გმირი კვდება ტერაქტის დროს, რომელიც ისლამისტებმა მოაწყვეს. 2001 წელს, რომანის გამოსვლის შემდეგ უელბეკი ისლამოფობიაში დაადანაშაულეს და მწერალი სასამართლოს წინაშეც წარდგა.

როგორც ცნობილი ხდება, უელბეკი არ მონაწილეობდა პიესის დადგმაში და არც აპირებს მის ნახვას. მას დაგეგმილი აქვს უახლოეს მომავალში გახდეს რეჟისორი კინოფილმისა "პლატფორმა".

# ჯაგერმა ხმა დაკარგა

ლეგენდარული "როლინგსტოუნზი" იძულებული გახდა კონცერტი გადაედო, რადგან მიკ ჯაგერმა ხმა დაკარგა. "მან დროებით ხმა დაკარგა" - იუწყება საპროდიუსერო კომპანია. კონცერტი უნდა გამართულიყო ესპანეთში. ჯერ კიდევ უცნობია 63 წლის მიკ ჯაგერი როდის შეძლებს სცენაზე დაბრუნებას. ამჯერად მან ხმა დაკარგა ლარინგიტის გამო და ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. მან პირადად მოიხადა ბოდიში თაყვანისმცემლების წინაშე. "მე ძალიან მომწონს ესპანეთში გამოსვლა, მაგრამ სამწუხაროდ არჩევანი არ მაქვს და ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე, ვინც ბილეთები შეიძინა". - განაცხადა ჯაგერმა.



აღსანიშნავია, რომ ჯგუფის მიერ კონცერტის გადადება პირველი არ არის. მათ კონცერტი სანკტ-ბეტერბურგშიც გადადეს ორი თვით, კეიტ რიჩარდსის ტრამვის გამო, როცა იგი ფიჯიში პალმის ხიდან ჩამოვარდა. ამჯერად მათი მსოფლიო ტურნეც შეწყდა.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I** ობიექტი –მცხეთის რაიონში, ქსნის საკრებულოს ტერიტორიაზე მდ. ქსნის ნაპირზე ციხისძირის საბადოზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 704 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 341 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**II** ობიექტი – მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის ნაპირზე ძეგვის ქვიშა-ხრეშის საბადოს „უკანაჭალის" **IV** უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 352 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>670 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 25 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**III** ობიექტი – ხაშურის რაიონში, სოფ. გომის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 704 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 341 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**IV** ობიექტი – მცხეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვენა ჭალის ტერასაზე წიწამური-2 ქვიშა-ხრეშის საბადოზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**V** ობიექტი – დმანისის რაიონში, სოფ. ოროზმანის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაკის ბაზალტის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 346 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>469 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 5 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**VI** ობიექტი – ხობის რაიონში, სოფ ხეთას საკრებულოს ტერიტორიაზე ბაძიას-ნაკარების და საქირიოს პირველი და მეორე უბნების კირქვების მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 954 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 191 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VII** ობიექტი – ჭიათურის რაიონში, სოფ. შუქრუთუს საკრებულოს ტერიტორიაზე შუქრუთის კვარც-არკოზული ქვიშების მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 25 037 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>5 007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარც-არკოზული ქვიშების ჯამური მოცულობა | 400 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VIII** ობიექტი – სენაკის რაიონში, სოფ. შუა ნოსირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 026 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 405 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 70 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IX** ობიექტი –სენაკის რაიონში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე ქვიშის (სილის) მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშის (სილის) ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**X** ობიექტი – სენაკის რაიონში, სოფ. გეჯეთის და სოფ. ქვედა სორტას მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ტეხურას მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 13 049 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 610 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 130 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XI** ობიექტი – მარნეულის რაიონში, სოფ. კაჩაგანის მიმდებარედ მდ. დებედას პირველ და მეორე უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XII** ობიექტი – მარნეულის რაიონში, სოფ. პატარა მუღანლოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ხრამის ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 25 094 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>5 019 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 250 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIII** ობიექტი – ხაშურის რაიონის, დაბა სურამის ტერიტორიაზე კირქვის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 763 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1753 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 40 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XIV** ობიექტი – მცხეთის რაიონში, ხეკორძულას მიმდებარე ტერიტორია კირქვის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 21 908 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4382 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XV** ობიექტი – ახმეტის რაიონში, ზემო ალვანის ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 169 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>234 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**XVI** ობიექტი – ახმეტის რაიონში, სოფ. ჩაჩხრიალას (ილტო 2) ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 169 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>234 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**XVII** ობიექტი – ხაშურის რაიონში, სოფ. ოსიაურის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 023 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>805 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XVIII** ობიექტი – ჭიათურის რაიონში, სოფ. მღვიმევის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 12 519 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2504 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშის ჯამური მოცულობა | 200 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XIX** ობიექტი – დუშეთის რაიონში, მდ. არაგვის მარჯვენა ჭალის ტერასაზე ციხისძირის ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 17 431 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3486 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 130 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XX** ობიექტი – სიღნაღის რაიონში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე დოლლუზ-ტაპას (ბოდბეს) ორგანოგენული (გამარმარილოებული კირქვის) მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 15 648 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 130 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი გამარმარილოებული კირქვის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXI** ობიექტი – ოზურგეთის რაიონში, სოფ. მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ნატანების სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 130 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>626 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXII** ობიექტი – სენაკის რაიონში, სოფ. ნოსირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 653 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>731 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 24 000მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**XXIII** ობიექტი – მცხეთის რაიონში, სოფ. გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე, თეზამი-2-ის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 007 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 001 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXIV** ობიექტი – ზესტაფონის რაიონში, სოფ. შროშის ტერიტორიაზე მდ. ძირულას მარჯვენა შენაკად „გეზერულას" ხეობაში გაბრო-დიაბაზის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 12 520 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 504 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი გაბრო-დიაბაზის ჯამური მოცულობა | 40 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXV** ობიექტი – ხაშურის რაიონში, სოფ. ცხისის ტერიტორიაზე სააგურე თიხის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 381 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>876 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი სააგურე თიხის ჯამური მოცულობა | 40 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXVI** ობიექტი – მცხეთის რაიონში, სოფ. ქსოვრისის ტერიტორიაზე მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 030 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 606 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XXVII** ობიექტი – გორის რაიონში, სოფ. არგვიცის მიმდებარე ტერიტორიაზე ვულკანური წიდის მოპოვება

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 991 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 598 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ვულკანური წიდის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 24 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 22 სექტემბერს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ ბე"-ს შემოტანის ქვითარი | „ ბე"-ს გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 28 სექტემბრის №386 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვისა და საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. 2006 წ. 24 აგვისტოს გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის, საშტატო განრიგის მიხედვით, სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

| № | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა | შტატი |
|---|---|---|
| | რეგიონული გეოლოგიის და ტექტონიკის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 3 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 4 | მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| | სტრუქტურების მოდელირების ლაბორატორია | |
| 1 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | მადნების გეოლოგიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 3 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | პეტროლოგიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 3 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 4 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 5 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 6 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | გეოქიმიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 3 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | მინერალოგიის და იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 3 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 4 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 5 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 6 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | ლითოლოგიის და ვულკანოლოგიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 3 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 4 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 5 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 6 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 7 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 8 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 9 | მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| | სტრატიგრაფიის და პალეონტოლოგიის განყოფილება | |
| 1 | მთავარი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 3 | მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 4 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 5 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | მიკროპალეონტოლოგიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 3 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 4 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | ფიზიკურ-ქიმიური კვლევის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 3 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| 4 | მეცნიერ თანამშრომელი | 1 |
| | ფიზიკური კრისტალოგრაფიის განყოფილება | |
| 1 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 0.5 |
| 2 | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 1 |

5. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდა-ტის, დოქტორის) ხარისხი.

6. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათა-ნაბრებული ხარისხი.

7. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

8. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრე-ბული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ხოლო დოქტორანტების (ასპირანტებისათვის) ცნობა შესაბამისი საგანმანათლებლო (სამეცნიერო) და-წესებულებიდან;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძ-ლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

10. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალის-წინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),

ბ) პატენტები,

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

11. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემს-რულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

12. საბუთების მიღება იწარმოებს ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუ-ტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში, მისამართი: მ.ალექსიძის ქ. N1, კორპ. 9.

13. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 23.09.2006 წ. (1 თვე).

14. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 27 სექტემბერს.

16. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია,
www.mes.gov.g e,
E-mail: geolog@gw.acnet.ge,
ტელ: 33-00-75,

პასუხისმგებელი პირი - **ივანე შველიძე** .

# სამოქალაქო რესტრის სააგენტო აცხადებს ტენდერს მკაცრი აღრიცხვის ბლანკების სახელმწიფო შესყიდვისათვის

**ქ. თბილისი, ვანის ქ. N4**

შესყიდვის ობიექტებია:

| № | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაბადების მოწმობა | 80000 | სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ვანის ქ.№4 | 2006 წლის 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად |
| | დაბადების აქტის ჩანაწერი | 50000 | | |
| 2 | მამობის დადგენის მოწმობა | 20000 | „————————“ | „————————“ |
| | მამობის დადგენის აქტის ჩანაწერი | 20000 | | |
| 3 | ქორწინების მოწმობა | 20000 | „————————“ | „————————“ |
| | ქორწინების აქტის ჩანაწერი | 15000 | | |
| 4 | განქორწინების მოწმობა | 3000 | „————————“ | „————————“ |
| | განქორწინების აქტის ჩანაწერი | 3000 | | |
| 5 | შვილად აყვანის მოწმობა | 500 | „————————“ | „————————“ |
| | შვილად აყვანის აქტის ჩანაწერი | 500 | | |
| 6 | გარდაცვალების მოწმობა | 40000 | „————————“ | „————————“ |
| | გარდაცვალების აქტის ჩანაწერი | 30000 | | |
| 7 | სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის მოწმობა | 3000 | „————————“ | „————————“ |
| | სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის აქტის ჩანაწერი | 3000 | | |
| 8 | ჩანართი | 1000 | „————————“ | „————————“ |
| 9 | საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა | 500000 | „————————“ | „————————“ |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **არა უგვიანეს 2006 წ. 13 სექტემბრის 18 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), ვანის ქ. N4, II სართული, შესყიდვების სამსახურის ოთახში ტელ. 34-07-01.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;

2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა დაცვით.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, ვანის ქ.N4

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება ერთდროულად, ერთი დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს. ტელ - 34-07-01, 8 (95) 58-11-22 ვანის ქ. N4,

დამატებითი ინფორმაცია:

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## ინფორმაცია

2006 წლის 18 აგვისტოს გაზეთ 24 საათში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მსუბუქი ავტომობილების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის შესახებ განცხადების I ლოტის "ბ" პუნქტი გასულია რედაქციული ხასიათის შეცდომით, ავტომობილის ძრავის მოცულობა ნაცვლად 4,7 კუბ. სმ-ისა, უნდა იყოს 4,0 კუბ.სმ.

**ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

## სააქციო საზოგადოება "გორიგაზის" აქციონერთა საყურადღებოდ

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს 12 საათზე სააქციო საზოგადოება `გორიგაზის" შენობაში ჩატარდება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე წლის 6 თვის შედეგების განხილვა;
2. სააქციო საზოგადოება "გორიგაზის" წესდებაში ცვლილებების შეტანა;
3. სხვა საკითხები.

**სააქციო საზოგადოება `გორიგაზის" ადმინისტრაცია**
**ქ. გორი, იოსებიძის ქ. N1.**

## შესწორება სატენდერო განცხადებაში

გარდაბნის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გარდაბნის რაიონის გამგეობის სოფელ სართიჭალაში სპორტდარბაზის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შზესყიდვაზე 2006 წლის 22 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" შეტანილი იქნეს შესწორება: მშენებლობის განხორციელების ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე

**სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## შესწორება

2006 წლის 22 ივლისის N188 (1340) გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ინფორმაციაში დაშვებულია შეცდომა.

Nნაცვლად "სენაკში მდებარე შპს "აისი-2005" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის მიღებას"

უნდა იყოს "სენაკში მდებარე შპს "აისი-2005" ითხოვს დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის მიღებას"

## ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ტენდერების შედეგების შესახებ

7 ივლისს დაცვის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა - შსს სსიპ "დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა";

8 ივლისს კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვება მოიპოვა N1, N3, N5 და N7 ლოტებში შპს "ალტამ", N2 ლოტში - შპს "კომპიუტერულმა სამყარომ", N4 ლოტში - შპს "იუ-ჯი-თიმ", N6 ლოტში - შპს "ელიტ კომპიუტერმა".

8 ივლისს სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება მოიპოვა N1 ლოტში შპს "ამა-ტურმა", N2, N3, N4 და N6 ლოტებში შპს სსგ "იბერიამ", N5 ლოტში შპს "დიზაინსერვისმა".

## განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2006 წლის 23 აგვისტოს გაზეთ "24 საათი"-ს N188-ში ლიფტების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. შესყიდვის ობიექტი - სამგზავრო ლიფტი 4 ცალი (ბრენდი).

2. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 სექტემბრის 16 საათამდე.

3. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2006 წლის 23 აგვისტოს გაზეთ "24 საათი"-ს N188-ში ავტოტექმომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამინისტროს ავტოპარკი შეადგენს 301 ავტომობილს (185 ერთეული რუსეთის და 116 - უცხოური წარმოების). მომსახურება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, 2006 წლის ბოლომდე.

**სატენდერო კომისია**

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა (23 აგვისტო)

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

თელავში მდებარე შპს "ერეკლე მეფის სახელობის გიმნაზია" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიის მიღებას.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს საქართველოს მასშტაბით ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე.**

**მოკლე აღწერილობა:** ტენდერი ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში 3 ერთეული, თითოეული 600 კვ. მეტრი (20X30) სტადიონების მშენებლობას. პროექტით გათვალისწინებულია: დრენაჟის მოწყობა, შემოღობვა, საფეხბურთო ძელების, ბადის, განათების ძელების დამონტაჟება და შეღებვა.

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან 14 სექტემბრის 17.00 საათამდე.
- **სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**

*მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში*
*სახაზინო კოდი - 302003000*
*ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107*
*გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.*

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით **2006 წლის 15 სექტემბერს 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.
- **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირისათვის:**
- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- **სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 15 სექტემბერს 17:00 საათზე.**
- **სატენდერო წინადადების შეფასება მოხდება 18 სექტემბერს.**
- სამუშაოს შესრულების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 65 კალენდარული დღე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ:

**ირაკლი სამყურაშვილი - 899 77-71-03**
**თენგიზ ღურწკაია - 899 22-92-80**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ტენდერს 4 ცალ ჯიპის ტიპის ავტომობილების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 12 სექტემბრამდე, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**შესასყიდი ავტომობილების ტექნიკური მახასიათებლები:** ბენზინის ოთხ ცილინდრიანი ძრავი, ძრავის მუშა მოცულობა არა ნაკლებ 1975 სანტიმეტრ კუბისა, ძრავის სიმძლავრე არა ნაკლებ 142 ცხენის ძალა, ხუთ სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით, ოთხი წამყვანი თვლებით,

1. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 13 სექტემბერს დღის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ ნასამართლევი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
5. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
6. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
7. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ნოდარი ფოცხვერაშვილი ტელ: 8 93 22 94 22; 93 24 85

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1" მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი 17, აცხადებს ტენდერს შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1"-ის საჭიროებისათვის რკინამასალების, ელექტრომასალების და ანძების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:
ლოტი 1 - რკინამასალები
ლოტი 2 - ელექტრომასალები
ლოტი 3 - ანძები

3. საქონლის მიწოდების პირობები: საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი კახეთის ჩიხი 17, შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1".

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ (რეკვიზიტების მითითებით), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 სექტემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1". ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი 17, ოთახი №3.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.
6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები: გაერთიანებული ქართული ბანკი, კოდი 220101665, ანგარიშის №3843407, ს/კ 208141544.

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

11. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თენგიზ დვალი, ტელ.: 568453, ჯანიკო ნადირაძე 899 102 854, 568407.

შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1". ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი 17, ოთახი №3.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" სადაზღვევო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.**

**სადაზღვევო მომსახურება ითვალისწინებს:**

| ლოტი | დასახელება | დახასიათება | რაოდენობა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების და მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა | 1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ქურდობა<br>2. ძარცვა<br>3. ყაჩაღობა<br>4 შუშების დაზიანება.<br>5. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანება<br>6. მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა | 150 ერთეული | ქ. თბილისი. მარჯანიშვილის ქ. 16ა | 1..10.06–31.12.06 |

**ტენდერის პირობები:**

1. ტენდერში გამარჯვებულის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული მომსახურების მოცულობისა და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალის გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.
2. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200(ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (**ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905**) **2006 წ. 24 აგვისტოს 10:00 საათიდან 14 სექტემბრის 1500 საათამდე,** მისამართზე: **ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ 911192**.
3. პრეტენდენტმა 2006 წლის 13 სექტემბრიდან 2006 წლის 14 სექტემბრის 15:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ 911192,** ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო წინადადებასთან ერთად, ერთ დახურულ კონვეტში უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები,რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციასა და დოკუმენტებს:
   - **შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი-იურიდიული და ფაქტობრივი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;**
   - **ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**
   - **ცნობა საგადასახადოდან, რომ რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;**
   - **ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;**
   - **ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;**
   - **შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ასლი;**
4. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.
5. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 15 ოქტომბრის ჩათვლით.
6. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
7. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.
8. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
9. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. giwi.khvedaguridze@uedc.ge

სატენდერო კომისია

# თანამდებობა: ტექმომსახურების მგეგმავი

კომპანია BP Exploration Caspian Sea Ltd. -ს იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე კანდიდატს **ტექმომსახურების მგეგმავის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს ადგილმდებარეობა:** სუფსის ტერმინალი

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული მოვალეობები მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით

- დაიცვას ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები
- ტექმომსახურების გუნდთად ერთად დაგეგმოს ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური სამუშაოები
- ეფექტურად დაგეგმოს შესასრულებელი სამუშაო დავალებები
- იმუშაოს მაიკროსოფტის "მაქსიმოს" სისტემაში
- უხელმძღვანელოს სუფსის ტერმინალში არსებული ძირითადი მოწყობილობების ტექმომსახურების სამუშაოებს
- უხელმძღვანელოს სუფსის დოკუმენტების კონტროლის განყოფილებას
- წარმოადგინოს ტექმომსახუების ყოვეკვირეული ანგარიშები
- შეიმუშაოს ტექმომსახურების სამუშაოების შესრულების ყოველთვიური ძირითადი მაჩვენებლები (KPI)

**მოთხოვნები:**

- სათანადო უმაღლესი ტექნიკური განათლება (საინჟინრო)
- წარმოების დარგში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება
- ინგლისური ენაზე თავისუფლად საუბარი და წერა
- ავტომანქანის მართვა (მინიმუმ "ბ" კატეგორია)
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, MS Excel, MS PowerPoint, MS Access, MS Project, Auto CAD, VISIO გამართული ცოდნა და ამ ცოდნის გარლმავება.
- მრავალეროვან გარემოში მუშაობის უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი CV ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: **ხუთშაბათი, 31 აგვისტო.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
სუფსაში საცხოვრებლის უზრუნველყოფა კანდიდატის პასუხიმსგებლობაა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

## მოკლედ

### საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი

24-26 აგვისტოს შპს "მაგთიკომის" ინიციატივით, ქობულეთსა და ბათუმში გაიმართება საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - Caucasus Jam. ფესტივალი მოიცავს 5 კონცერტს, რომელიც სამი დღის განმავლობაში გაიმართება. მონაწილეობას მიიღებს 12 საუკეთესო ქართული, სომხური და აზერბაიჯანული თანამედროვე მუსიკალური ჯგუფი. 26 აგვისტოს ფესტივალის დასკვნით კონცერტზე გაიმართება მუსიკოსების შერეული გამოსვლა და ნინო ქათამაძის კონცერტი.

ფესტივალის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ქალაქ ბათუმის მერია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი,.

ფესტივალში მონაწილეობენ: ბაკურ ბურდული, ჯგუფი "გრინ მამა", Gorr & Friends (სომხეთი); დათო ლომიძე და სპეციალური პროექტი "საქართველოს ფეხბურთის ფან კლუბი", "ვაკის პარკი", ვოვა მოგელაძე და "ბლუზ მობილ ბენდი"; ნინო ქათამაძე და ჯგუფი "ინსაითი"; "მწვანე ოთახი"; RIENT (აზერბაიჯანი); Stormy Monday (სომხეთი); "ქენდი ბენდი".

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ლოკარნოს ფესტივალი

შვეიცარიაში, ლოკარნოს 59-ე საერაშორისო კინოფესტივალის მთავრი პრიზი "ოქროს ლეოპარდი" შვეიცარიისა და გერმანიის ერთობლივ ნამუშევარს "ქალიშვილს" ერგო. ფილმის რეჟისორს ანდრეა სტაკის, რომლისთვისაც "ქალიშვილი" სადებიუტო ნამუშევარია, მთავარ პრიზთან ერთად 90 ათასი შვეიცარული ფრანკის (37 ათასი აშშ დოლარი) ჩეკი გადაეცა.

ჟიურის სპეციალური პრიზი რაიან ფრანკის ამერიკულმა ფილმმა "ნელსონის ნახევარმა" დაიმსახურა. საუკეთესო რეჟისორად ფრანგულ-ბელგიური ფილმისათვის "უკანასკნელი შეშლილი" ჟიურიმ ლორან აშარი დაასახელა. პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის გადაეცა ბურგჰარდ კლაუსნერს, დიტო ცინცაძის გერმანულ-ქართულ ფილმში "მამაკაცი საელჩოდან" მთავარი როლის შესრულებისათვის.

კინემატოგრაფიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო "ოქროს ლეოპარდი" რუს რეჟისორს სერგეი საკუროვს გადაეცა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ანსამბლი "მამული"

ქართული ნაციონალური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მამული" საგასტროლოდ უკრაინაში გაემგზავრება და ერთი თვის განმავლობაში ქვეყნის 10-ზე მეტ ქალაქში 2-საათიან შოუს "მთის რიტმებს" წარადგენს. საგასტროლო ტურნეს პირველი და ბოლო კონცერტი კიევში გაიმართება.

ქართული ანსამბლის გასტროლებს უკრაინული საპროდიუსერო კომპანია "ლოზაარტი" კურირებს. უკვე მზადაა აფიშები და საკონცერტო დარბაზების სალაროებში ბილეთების დაჯავშნის პროცესიც დაიწყო.

"ლოზაარტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ანსამბლ "მამულის" გასტროლები 12 სექტემბრიდან იწყება და 8 ოქტომბრამდე გასტანს.

შოუ "მთის რიტმები" ქორეოგრაფიულ, მუსიკალურ და ვოკალურ კომპოზიციებს აერთიანებს. სულ შოუში 60-მდე არტისტი მონაწილეობს. მათთან ერთად ტექნიკური ჯგუფიც გაემგზავრება, რომელიც საკონცერტო ნომრების მსვლელობისას ხმისა და განათების ხარისხს გააკონტროლებს.

ანსამბლი "მამული" 1971 წელს შეიქმნა, 1990 წელს კი მას "ნაციონალურის" სტატუსი მიენიჭა.

ანსამბლის ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ყოფილი სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ზაურ პაპიაშვილი.

არსებობის მანძილზე ანსამბლი საგასტროლოდ იტალიაში, ესპანეთში, თურქეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, გერმანიაში, ინგლისში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, პერუში, ეკვადორში, ბოლივიასა და კარიბის ზღვის კუნძულებზე იმყოფებოდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მარინა ცვეტაევას ლექსების კომპოზიციები

საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტი თამარ გვერდწითელი ცნობილი რუსი პოეტის მარინა ცვეტაევას ლექსებზე ახალ საკონცერტო პროგრამას ამზადებს. მომღერალი ცვეტაევას ლექსების თარგმნილ ვარიანტებს შეასრულებს.

მაყურებლის წინაშე თამარ გვერდწითელი ცვეტაევას შემოქმედების ფრანგული და ქართული ვარიანტების კომპოზიციებით წარდგება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ტარას ბულბას ეკრანიზაცია

საპროდიუსერო კომპანია "რიტმის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის გიორგი დანელიას განცხადებით, უახლოეს მომავალში გოგოლის ცნობილი ნაწარმოების "ტარას ბულბას" ეკრანიზაცია დაიწყება.

"ტარას ბულბას" ეკრანიზება ჯერ კიდევ სერგეი ბონდარჩუკს სურდა, თუმცა საბჭოთა ცენზურამ მაშინ ფილმის გადაღებაზე უარი განაცხადა. ამჟამად დიდი რეჟისორის ოცნების რეალიზაციის შესაძლებლობა მოგვეცა", - განაცხადა დანელიამ.

მისი თქმით, ფილმისათვის სცენარი ედუარდ ვოლოდარსკიმ შექმნა, რეჟისორი კი ვლადიმერ ბარტკო იქნება.

ბარტკოს "ოსტატი და მარგარიტა" გასულ წელს ყველაზე რეიტინგულ სერიალად აღიარეს. ფილმის გადასაღებად სახსრები ტელეარხმა "რასიამ" გამოყო. გადაღებები უახლოეს მომავალში დაიწყება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### რუსული ხელოვნების ფესტივალი კანში

საფრანგეთში, ქალაქ კანში რუსული ხელოვნების ფესტივალი გაიხსნება. მასზე საპატიო სტუმრად პიერ კარდენია მიწვეული, რომელსაც რუსეთთან მრავალწლიანი მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის ჯილდოს გადასცემენ.

ფესტივალის ორგანიზატორების განცხადებით, მისი პროგრამა ყველა გემოვნების ადამიანების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ფესტვალის გახსნა დაგეგმილია გამოფენით "ჩემი დაღესტანი", რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ხალხური რეწვის ნიმუშები. მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი დაღესტნური ხალიჩები.

ფესტივალში ასევე მონაწილეობს პეტერბურგის საბალეტო თეატრი ბორის ეიფმანის ხელმძღვანელობით, რომელიც პეტრე ჩაიკოვსკის "ანა კარენინას" წარმოადგენს.

ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას ორგანიზატორები "რუსულ ღამეს" ასახელებენ. გრანდიოზული ფეიერვერკით დამშვენებულ ღონისძიებაში თანამედროვე რუსული მოდის ჩვენება და ნაციონალური ფოლკლორული თეატრის კონცერტია გაერთიანებული. ღონისძიების ბოლოს სტუმრებს ვოლოგდელი მზარეულების კერძებით გაუმასპინძლდებიან.

რუსული კინო ფესტივალზე ფილმებით "კოსმოსი, როგორც წინათგრძნობა" (რეჟისორი ალექსეი უჩიტელი), "მეცხრე ასეული" (ფიოდორ ბონდარჩუკი) და "დამწყობი" (კირა მუტრატოვა) წარდგება.

ფესტივალი კამერული ორკესტრის "მოსკოვიას" კონცერტით დასრულდება, რომელიც მაყურებელს დიმიტრი შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებს შესთავაზებს. რუსული ხელოვნების ფესტივალი უკვე მეცხრედ ტარდება. წელს მას ორგანიზებას რუსეთის კულტურის ფონდი, რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტო და კანის მერია გაუწევენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### წმ. გიორგის სახელობის ტაძარი

უახლოეს მომავალში, აფხაზეთის დედაქალაქში წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ამოქმედდება. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის ე.წ. ეპარქიის კანცელარია ავრცელებს.

"წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი შუასაუკუნეებშია აგებული. მე-19 საუკუნის შუახანებში იგი განაახლეს. 1917 წლამდე კი ქალაქ სოხუმის საქალაქო სასაფლაოზე განლაგებული ეს ტაძარი მოქმედი იყო. გასული საუკუნის 50-იან წლებში საქალაქო სასაფლაოს ყოფილ ტერიტორიაზე ტურისტული სასტუმრო ააშენეს. ამჯამად კი ეს სასტუმრო "აიტარი" ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე დამკვირვებელ გაეროს მისიას აქვს იჯარით აღებული", - იუწყება აფხაზური საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესი".

მათივე ინფორმაციით, 2001 წელს "გარანტ-ბანკის" ფინანსური მხარდაჭერით, ამ ტაძრის აღდგენითი-სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო. იეროდიაკვანმა ანდრეი ამპარმა ტაძრის ესკიზი შეადგინა, მხატვარმა ნ. ინალ-იფამ ტაძრის კედლები მოხატა.

2006 წელს ტაძრის გუმბათის აღდგენა დასრულდა. მის წინამძღვრად კი მამა ნიკიტა ადლეიბა დაინიშნა.

"ამჯამად აფხაზეთის ხელისუფლება გაეროს მისიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა ტაძარში ღვთისმსახურების აღდგენისა და მრევლის მოსვლის უფლება დართონ". - იუწყება "აფსნიპრესი".

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კიდევ ერთი ორდენი



*რუსეთის დიდი თეატრის, ბალეტის წამყვანი სოლისტი ნიკოლოზ ცისკარიძე ფრანგული ორდენის კავალერი გახდება. მას ეს ჯილდო "ხელოვნებაში და ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის" გადაეცემა. ცნობილი მსახიობი აცხადებს, რომ მან ამ ჯილდოს შესახებ მოულოდნელად შეიტყო. "ლონდონის გასტროლების შემდეგ მე თეატრში მივედი და ჩემს საგრიმიოროში მაგიდაზე აღმოვაჩინე დიპლომი, რომელსაც ხელს აწერდა საფრანგეთის კულტურის და კომუნიკაციების მინისტრი" - აღნიშნა ცისკარიძემ. მსახიობმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ძალიან მოხარულია ამ ჯილდოს მიღებით. დაჯილდოების ცერემონია კი მოგვიანებით გაიმართება.*

ნიკა თბილისში, 1973 წელს დაიბადა, სწავლა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში დაიწყო და მოსკოვში განაგრძო. სწავლის დასრულებისთანავე ის მოსკოვის დიდი თეატრის ჯერ წამყვანი არტისტი, შემდეგ კი პრემიერი გახდა. მან თავიდანვე დიდი ყურადღება დაიმსახურა, რაც პირველ რიგში მისი ფენომენალური მონაცემებით აიხსნება. იგი დიდი რუსული საბალეტო სკოლის ყველაზე საუკეთესო მეტრების სიყვარულით განებივრდა, ჯერ გალინა ულანოვასთან, შემდეგ კი არინა ემენოვას, იური გრიგაროვიჩის, ვლადიმერ ვასილევის, ნიკოლაი ფადეეჩევის და სხვათა რჩეული გახდა. თუმცა მისი მასშტაბი და სრულიად ორიგინალური შესაძლებლობები მხოლოდ რუსული ბალეტით არ შემოფარგლულა. მას საფრანგეთმა არაერთხელ გადასცა წლის მოცეკვავის ტიტული, რომ აღარ ჩამოვთვალოთ არაერთი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატობა, რუსეთის "ოქროს ნიღაბი" - საუკეთესო მამაკაცი მოცეკვავის წოდება, რუსეთის დამსახურებული არტისტისა და სხვა მნიშვნელოვანი წოდებანი. ნიკა ცისკარიძის წარმატებათა შორის საქართველოს ღირსების ორდენიც აღინიშნება.

მისი რეპერტუარი, რომელიც ლირიკულსა და თანამედროვე ბალეტის მრავალფეროვან სახეებს წარმოადგენს, დღითიდღე იზრდება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობი, რომელიც დიდი თეატრისადმი განსაკუთრებულ ერთგულებას ამჟღავნებს, რუსული პუბლიკის საყვარელი და თითქმის სათაყვანებელი არტისტია. მასზე ბევრს წერენ და მას ბევრსაც ეკითხებიან. პირადი ცხოვრების დეტალებით დაწყებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ყოველი ასპექტით დასრულებული, ყოველივე ექცევა მედიისა და საზოგადოების ინტერესთა სფეროში.

"ყველაზე მეტად ცეკვაში მიჭირს სიკეთის ემოციის გადმოცემა, რადგანაც ჩვენ, ადამიანებმა არ ვიცით როგორი გემოსია იგი. ბოროტებას კი აქვს კონკრეტული გემო და თავისებური ფერი..."

"ცეკვა ჩემთვის ჰობია, რომელიც დროთა განმავლობაში პროფესიად იქცა, მძიმე შრომაა, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. მე არ დავრბივარ სცენაზე, მე ვთამაშობ სხვადასხვა ადამიანების სახეს. ცეკვა ჩემი ცხოვრების წესია, რის მისაღწევადაც ბევრი ვიბრძოლე..."

"საყვარელი პარტია ისაა, რომელიც წინ მელის. ყოველ მათგანში ჩემი ნაწილი ჩავდე და რომელიმეს გამოყოფა მიჭირს. ვარ თუ არა ღვთისგან კურთხეული მოცეკვავე? თუ ჩემი კარიერის დასრულების შემდეგ იტყვიან, რომ ეს არაფერია იმასთან შედარებით ცისკარიძე როგორც ცეკვავდაო, - მაშინ შეიძლება ეს ითქვას. დღეს ბევრი კარგი მოცეკვავეა, მაგრამ დღეს არიან, ხვალ აღარ..."

"პირად ცხოვრებაზე არ ვსაუბრობ, ის იმიტომაა პირადი, რომ მისი აფიშირება არ არის მიზანშეწონილი... არასდროს ვყოფილვარ ვარსკვლავბიჭუნა, მაგრამ მინდა დავბერდე ლამაზად, მაგალითად, ისე, როგორც ჟან მარე 80 წლის ასაკში. სიბერეში ყველაფერი სახეზე ეწერებათ ადამიანებს, რაც სულში აქვთ. კოკო შანელი ამბობდა, რომ 16 წლის ასაკში ის სახე გვაქვს, რომელიც ღმერთმა მოგვცა, 25 წლისებს - ის, რაც გავიკეთეთ, ხოლო 45 წლის ასაკში ისეთი სახე გვაქვს, როგორიც დავიმსახურეთ."

ამ უკანასკნელ ციტატაში ნიკა ცისკარიძე ნამდვილად თავმდაბლობს, მას რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ მამაკაცად მოიხსენიებენ, იმის მიუხედავად, რომ მისი ბოლო და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული როლი კვაზიმოდოა, თანამედროვე დადგმაში "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი".

ნიკა ცისკარიძე, მას შემდეგ, რაც არაერთი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი სირთულე დაძლია, სამშობლოში ხშირად ჩამოდიოდა და ჯერ კიდევ მაშინ გვთავაზობდა გამორჩეულ საბალეტო წარმოდგენებს, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის ვარსკვლავების გასტროლი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ცისკარიძე თბილისში თითქმის ყოველწლიურად ჩამოდიოდა და შეიძლება ითქვას, რომ მაქსიმალურად ბევრს ცეკვავდა, ყოველ შემთხვევაში ჩვენი მაშინდელი მწირი რეპერტუარის ფარგლებში. საოცარი ისაა, რომ მას შემდეგ, რაც თეატრის და შესაბამისად საბალეტო დასის ხელმძღვანელობამ განახლება განიცადა, მას შემდეგ რაც რეპერტუარიც გაიზარდა და დასის საშემსრულებლო დონეც, ნიკა ცისკარიძე თბილისში არ ჩამობრძანებულა, ყოველ შემთხვევაში თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ჩვენ არ გვინახავს. საშუალება რომ გვქონდეს სიამოვნებით ვკითხავდით მას ამის მიზეზს და გავრცელებულ მოსაზრებებსა და ნაირფეროვან ვერსიებს ამ საკითხთან დაკავშირებით, თითქოს და მას კონკრეტული საკითხებისა და პიროვნებებისადმი მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია, რითიც მისი თბილისიდან გაუჩინარება აიხსნება, ყურს არ დავუგდებდით.

ისე კი ცისკარიძის ჩვენს სცენაზე ხილვასა და მისი უჩვეულო და ყველასაგან გამორჩეულ, ვირტუოზულ ცეკვას მონატრებული ქართველი ბალეტომანები დიდი ხანია ელიან.

# რიტმი lounge



ბოლო დროს მუსიკალურ კულტურაში არაერთი საინტერესო და დასამახსოვრებელი მოვლენა მოხდა. თითოეული მათგანი თავისებურად ლამაზი იყო, თუმცა ძალიან ბევრი უპირატესობას მაინც ფესტივალ Nu Note Lounge Fest-ს ანიჭებს, რომელიც 26 აგვისტოს მოსკოვთან ახლოს სამხატვრო დაწესებულება "არხანგელსკში" გაიმართება. არაჩვეულებრივად ლამაზ ადგილას ერთ დროს განთავსებული იყო რუსი თავადების საქალაქო რეზიდენცია. ეს ფაქტი სწორედ რომ ერთ-ერთია, რომელიც დღესასწაულს ინტრიგულ ატმოსფეროს მატებს. მაგრამ მთავარი მაინც ფესტივალის შემადგენლობაა. ფესტივალის ხელმძღვანელი მაქსიმ შვაჩკო განმარტავს: "ჩვენ დავადგინეთ, რომ lounge მიმართულებით ძალიან ბევრი საინეტერესო კოლექტივი მუშაობს და გადავწყვიტეთ ვყოფილიყავით შუამავალნი მუსიკოსებს და მსმენელებს შორის. არ იციან - მოისმენენ. არა მოდურია - ვნახავთ... ჩვენ შევეცდებით ფესტივალში გავაერთიანოთ ამ მიმდინარეობის მოღვაწენი და ჩვენი ცნობილი მუსიკოსები."

აღსანიშნავია, რომ სინამდვილეში ასეთი სხვადასხვაობა აქამდე მართლაც არ ყოფილა. იმისათვის, რომ რუსმა მსმენელმა სრულად შესძლოს მათი აღქმა, ფესტივალი 26 აგვისტოს შემდეგაც გაგრძელდება, ხოლო მომავალ წელს კი დაგეგმილია ფესტივალი ისევ გაიმართოს.

ამჯერად კი ფესტივალის მაყურებლებისთვის ორი ზონა "დიდი სცენა" და "სადღესასწაულო კარი" მზადდება. პირველ სცენაზე გამოვლენ Nu Note მსახიობები, რომლებმაც ამ წელს თავიანთი ალბომები გამოსცეს - VF SIX, Ornitology, Bassworks, იგორ ბოიკოს ჯგუფი. სულ ახლახან მან გახსნა "ლაბორატორია პროფესიონალი გიტარისტებისთვის". აგრეთვე De Phazz, ამ ჯგუფმა რამდენიმე კონცერტი უკვე გამართა მოსკოვში და ყოველთვის ანშლაგით მიმდინარეობდა. ეს ჯგუფი საინტერესოა იმითაც, რომ მათ ალბომებს მთელი მსოფილო უსმენს. აგრეთვე ჯგუფი Gabin. ხოლო მეორე სცენაზე - ჰასან ბაგიროვ, ტიმოფეი ხაზანოვი, "დეტი ვინილა" და სხვები გამოვლენ. ყველაზე საინტერესო და სენსაციური ფაქტი კი DJ Jose Padilla-ს და DJ Valer-ის ჩამოსვლა იქნება.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**